



International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 5, Issue 2

Journal homepage: <http://journal.ciu.edu.ge/>

DOI: <https://doi.org/10.55367/VDNY7909>



Legal Grounds and Forms of Restriction on the Circulation of LLC Shares

Ekaterina Pipia ^{a1}

^a PhD student, Caucasus International University

ARTICLE INFO

Keywords:

Georgia
Charter
Autonomy
Pre-emptive
Right
Company
Consent to Share
Transfer
Comparative
Legal Analysis

ABSTRACT

This article analyzes the legal grounds and forms of restrictions on the circulation of both existing and newly issued shares in a limited liability company (LLC). The purpose of the research is to examine and interpret the legal norms regulating the restriction of share transfers in Georgian LLCs and the forms and conditions of charter-based restrictions on share circulation, through a comparative legal analysis. The study is based on historical and comparative methods. In particular, it reviews the norms that governed the circulation of LLC shares prior to the adoption of the current Georgian legislation, as well as the regulations in leading Western jurisdictions (the United States, the European Union, Germany, and the United Kingdom). The article relies on Georgian and foreign legislative acts (including the Constitution of Georgia, the Civil Code of Georgia, the 1994 and 2021 versions of the Law of Georgia on Entrepreneurs, Directive 2017/1132, AktG, GmbHG, Companies Act 2006, and MBCA), judicial precedents and practice, and Georgian and foreign legal scholarship.

The research reveals that Georgian law establishes the general principles of (1) the free disposal of shares by LLC partners and (2) the pre-emptive right to acquire newly issued shares before their placement with third parties. However, it was also found that the law allows both (a) the restriction by charter of the transfer of existing shares to third parties and (b) the exclusion of the pre-emptive right for newly issued shares. Moreover, the charter may restrict not only the disposal of a partner's shares (by sale, exchange, or donation) but also the acquisition of shares by inheritance or as a result of divorce. In addition, the charter may introduce flexible forms of share circulation restrictions—such as requiring the company's consent for share transfers, inheritance, or transfer upon divorce, as well as granting pre-emptive rights in respect of existing or newly issued shares. It may also set specific conditions or limitations applicable to the parties involved in the circulation of shares.

In conclusion, the Georgian model of restricting the circulation of LLC shares functionally balances the approaches of the European Union, Germany, the United Kingdom, and the United States, which are oriented toward both statutory and charter-based regulation. Importantly, the current Georgian legislation allows an LLC charter to

¹ Corresponding author.

E-mail addresses: ekapipia@gmail.com (E.Pipia).

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-5514-5264>

implement a customized restriction model tailored to the specific goals and preferences of its partners—one that maintains the stability of the company’s ownership structure while ensuring its continued development and investment attractiveness.

შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები და ფორმები

ეკატერინე ფიფია ^{a2}

^a დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტატიის შესახებ	აბსტრაქტი
<i>საკვანძო სიტყვები:</i> საქართველო საწესდებო ავტონომია უპირატესი შესყიდვის უფლება საზოგადოების თანხმობა წილის გასხვისებაზე შედარებით- სამართლებრივი ანალიზი	წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია შპს-ის არსებული და ახალი წილების მიმოქცევის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები და ფორმები. კვლევის მიზანია შპს-ის წილების მიმოქცევის შეზღუდვის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შესწავლილ და განმარტებულ იქნეს საქართველოში შპს-ის წილების გადასვლის შეზღუდვის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები და შპს-ის წილების მიმოქცევის წესდებისმიერი შეზღუდვის ფორმები და პირობები. კვლევა დაფუძნებულია ისტორიულ და შედარებით ანალიზზე. კერძოდ, კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიღებამდე შპს-ის წილის მიმოქცევის მომწესრიგებელი ნორმები და მოწინავე დასავლურ ქვეყნებში (აშშ-ში, ევროკავშირში, გერმანიაში და გაერთიანებულ სამეფოში) არსებული რეგულაციები. სტატიაში გამოყენებულია ქართული და უცხოური საკანონმდებლო აქტები (საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1994 წლის და 2021 წლის რედაქციები; Directive 2017/1132; AktG; GmbHG; Companies Act 2006; MBCA), სასამართლო პრეცედენტები და პრაქტიკა, ასევე ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურა. სტატიის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში კანონისმიერად მოქმედებს შპს-ის პარტნიორების მიერ თავიანთი წილების თავისუფალი განკარგვის, ხოლო შპს-ის მიერ გამოშვებული ახალი წილების განთავსების უპირატესი შესყიდვის უფლებით შეზღუდვის პრინციპები. თუმცა კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ კანონით დაშვებულია როგორც შპს-ის პარტნიორთა არსებული წილების სხვა პირებზე გადასვლის წესდებისმიერად შეზღუდვა, ისე შპს-ის ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება. ამასთან, წესდებით დასაშვებია არა მხოლოდ შპს-ის პარტნიორის მიერ წილის განკარგვის (გაყიდვის, გაცვლის, გაჩუქების) შეზღუდვა, არამედ მემკვიდრეობის ან განქორწინების საფუძველზე შპს-ის წილის მიღების შეზღუდვა. ამის გარდა, წესდებით შესაძლებელია შემოღებულ იქნეს შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის მოქნილი ფორმები (შპს-ის თანხმობა წილის გასხვისებაზე, მემკვიდრეობით ან

² ავტორი კორესპონდენტი.

ელექტრონული ფოსტა: ekapipia@gmail.com (ე.ფიფია).

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-5514-5264>

განქორწინებით პარტნიორის სტატუსის მიღებაზე; არსებული და ახალი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება). წესდებით ასევე შესაძლებელია წილის მიმოქცევის მხარეებისათვის დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები (პირობები.)

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის ქართულ მოდელში ფუნქციურად დაბალანსებულია ევროკავშირის, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ის კანონისმიერ და წესდებისმიერ მოწესრიგებაზე ორიენტირებული მიდგომები. მთავარი კი ის არის, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა შესაძლებლობას იძლევა, შპს-ის წესდებით დაინერგოს კონკრეტული შპს-ის პარტნიორების გეგმებზე და სურვილებზე მორგებული წილის მიმოქცევის შეზღუდვის ისეთი მოდელი, რომელიც საშუალებას ტოვებს ძირითადად შენარჩუნდეს როგორც შპს-ის პარტნიორული სტრუქტურა, ისე არ შეფერხდეს შპს-ის განვითარება (მათ შორის ინვესტიციების მოზიდვა).

1. შესავალი

საქართველოში საკუთრების უფლება არის საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით აღიარებული და დაცული სამართლებრივი სიკეთე. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი აღიარებს და უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი აღიარებს ყველა პირის უფლებას, მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით (მჭედლიშვილი, 2009, გვ. 106). სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების უფლება მოიცავს ნივთის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს (ჭანტურია, 2018, გვ. 21).

სამეწარმეო საზოგადოების წილი საკუთრების საგანია („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 29). სანივთო სამართლებრივი თვალსაზრისით, წილი არის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (უფლება) (ფიფია, 2021, გვ. 57). ამდენად, შპს-ის წილი არის კონსტიტუციით დაცული სამართლებრივი სიკეთე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Bramelid and Malmström v. Sweden* განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი ვრცელდება

კომპანიის წილებზე, რადგან მათ აქვთ გარკვეული ეკონომიკური და ქონებრივი ღირებულება (Bramelid and Malmström v. Sweden, 12/12/1983, applications 8588/79 and 8589/7).

საკუთრების უფლება, მათ შორის სამეწარმეო საზოგადოების წილზე, არ არის აბსოლუტური. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად. მისი შეზღუდვა შესაძლებელია კანონით, საჯარო ინტერესების დასაცავად და პროპორციულობის პრინციპის დაცვით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა უნდა ემსახუროდეს კანონიერ მიზანს, იყოს პროპორციული და უზრუნველყოფდეს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის სამართლიან ბალანსს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმე №2/1-370,382,390,402,405). ამავდროულად, გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის დაცული უნდა იყოს გონივრული პროპორციულობა (მჭედლიშვილი, 2009, გვ.110).

წილზე საკუთრების უფლების არსებობაში თავისთავად იგულისხმება წილის მიმოქცევის უფლება. შეიძლება ითქვას, წილი მიმოქცევადი უფლებაა (შდრ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი). წილის მიმოქცევადობა გულისხმობს ერთი პირიდან მეორეზე მის გადაცემას საკუთრებაში (მიგრიაული, 2021, გვ. 176-177) გარიგების, მემკვიდრეობის ან თანასაკუთრების გაყოფის საფუძველზე. წილის მიმოქცევადობაში ასევე იგულისხმება საზოგადოების საკუთრებაში არსებული საკუთარი წილის გადაცემა სხვა პირზე. ზოგადად, შპს-ის პარტნიორი უფლებამოსილია თავისუფლად განკარგოს საკუთარი წილი, რაც ნიშნავს წილის გასხვისებას ან უფლებრივ დატვირთვას სხვა პარტნიორთა ან თავად შპს-ის თანხმობისგან დამოუკიდებლად (ფიფია, 2021, გვ. 58). ამ უფლებამოსილებით მარტივდება შპს-ის საქმიანობა, რადგან პარტნიორთა შემადგენლობის ცვლილების მიუხედავად წილის თავისუფალი მიმოქცევა უზრუნველყოფს შპს-ის უწყვეტ საქმიანობას (კრაკმანი და სხვ., 2019, გვ. 14). თუმცა, გარდა იმისა, რომ საკუთრების უფლება, ზოგადად, არ არის აბსოლუტური, წილის მიმოქცევის თავისუფლების შეზღუდვა განპირობებულია საკორპორაციო ურთიერთობათა სპეციფიკით.

შპს-ის დაფუძნება არის მრავალმხრივი გარიგების პროდუქტი, ხოლო დაფუძნების შემდეგ შპს-ის წილის შეძენა არის ამ გარიგებაზე მიერთება. შესაბამისად, შპს-ის პარტნიორზე კორპორაციულ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები ვრცელდება მისი ნებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამ ურთიერთობებში პირის შესვლა თავისთავად გულისხმობს, რომ მან ნებაყოფლობით მიიღო შესაბამისი სახელშეკრულებო პირობები და გაცნობიერებული აქვს ურთიერთობათა სპეციფიკა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმე №2/1-370,382,390,402,405). ამრიგად, შპს-ის პარტნიორისათვის ბუნებრივი უნდა იყოს, რომ შპს-ის წილზე საკუთრების უფლების მოპოვებისას მან გაიცნობიეროს ის მოცემულობა, რომ მის მიერ საკუთარი წილის განკარგვაზე, თანამესაკუთრისათვის გაყოფაზე ან მემკვიდრეობით გადაცემაზე არსებობს ან შეიძლება დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები.

შპს-ის წილის მიმოქცევაზე შეზღუდვების დაწესება განპირობებულია შპს-ის შედარებითი დახურული სტრუქტურით, რითაც ვლინდება მისი მსგავსება პერსონალურ საზოგადოებათა შიდასამართლებრივ ურთიერთობასთან (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 364). პერსონალური სტრუქტურის მქონე კაპიტალურ საზოგადოებებში, პარტნიორების ერთმანეთისადმი ნდობა მათი ურთიერთობის არსებითი ელემენტია. ამიტომ პარტნიორთა ინტერესში შესაძლებელია შედიოდეს პარტნიორის ცვლილებაზე გარკვეული კონტროლის შენარჩუნება და ამ მიზნით დამატებითი წინაპირობების დადგენა (მაგალითად, უპირატესი შესყიდვის უფლება, წილის გამოსყიდვის უფლება, პარტნიორების ან დირექტორის თანხმობა) ან სრული აკრძალვა (გიგუაშვილი და ჯუღელი, 2022, გვ. 66). შპს-ის პარტნიორებს, შპს-ის დაფუძნებისას დებენ რა ერთმანეთთან მრავალმხრივ გარიგებას, ცხადია, გათვალისწინებული აქვთ, რომ სწორედ ამ გარიგების მხარეთა (პარტნიორთა) შემადგენლობით განხორციელდება შპს-ის საქმიანობა (გარიგების შესრულება). გამომდინარე იქიდან, რომ ჩვეულებრივ შპს-ის პარტნიორები უშუალოდ მონაწილეობენ შპს-ის საქმიანობაში, მათთვის არსებითი მნიშვნელობისაა, თუ ვისთან ერთად განხორციელდება მათი საქმიანობა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ პარტნიორმა გადაწყვიტოს თავისი წილის გაყიდვა, წარმოიშვას წილის გადასვლის სხვა საფუძველი (მაგალითად, მემკვიდრეობა), საჭირო გახდეს ახალი ინვესტორის

შემოყვანა, უნდა მოხდეს შპს-ის საკუთარი წილის განკარგვა და ა.შ., დღის წესრიგში შეიძლება დადგეს პარტნიორთა შემადგენლობის ცვლილება. მაგრამ პარტნიორებმა, ცხადია, უნდა იზრუნონ, რომ პარტნიორთა ცვლილება მოხდეს თავდაპირველი ან შემდგომში ჩამოყალიბებული მდგრადი პარტნიორული სტრუქტურის შენარჩუნებით.

პარტნიორული სტრუქტურის შენარჩუნების ინსტრუმენტს კი წარმოადგენს წილის უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტი (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 444) და სხვა სახის შეზღუდვები (გიგუაშვილი და ჯუღელი, 2022, გვ. 66). ამასთან, საგულისხმოა, რომ შპს-ის პარტნიორის ან შპს-ის საკუთარ წილზე საკუთრების უფლების შეზღუდვის მეორე მხარეს დგას შპს-ის სხვა პარტნიორის (პარტნიორების) მიერ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება და შპს-ის უფლება, წილის განკარგვა (გადასვლა) განხორციელდეს შპს-სათვის ხელსაყრელი პირობებით.

2. მასალები და მეთოდები

შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვების სამართლებრივი საფუძვლებისა და ფორმების კვლევა ძირითადად დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციაზე. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მიზანია შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის სამართლებრივი ინსტიტუტის სისტემური გააზრება, მისი თეორიული საფუძვლების პრაქტიკული განვითარება და იმ რეგულაციური მოდელების იდენტიფიცირება, რომლებიც უზრუნველყოფს შპს-ის წილზე საკუთრების უფლებისა და შპს-ის პარტნიორული სტრუქტურის დაცვის დაბალანსებას, კვლევაში გამოყენებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1994 წლის რედაქცია (მასში განხორციელებული ცვლილებებით), სხვა ქართული და უცხოური საკანონმდებლო აქტები (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, Directive 2017/1132; AktG; GmbHG; Companies Act 2006; MBCA), სასამართლო პრეცედენტები და პრაქტიკა, ასევე ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურა.

ნაშრომის მეთოდოლოგია დამყარებულია სამართლებრივი ნორმების, სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინალური წყაროების სისტემურ ანალიზზე.

კვლევის ძირითადი მეთოდია ნორმატიული ანალიზი, რომლის მეშვეობითაც შესწავლილია საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. ნორმატიული ანალიზი გამოყენებულია შპს-ის წილის თავისუფალი განკარგვის პრინციპის, მისი მიმოქცევის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლებისა და შეზღუდვის იმპერატიული და დისპოზიციური ნორმების ურთიერთმიმართების დადგენის თვალსაზრისით. ნორმატიულმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა კანონმდებლის მიერ დაშვებული წესდებისმიერი თავისუფლების ფარგლების და მათი სამართლებრივი ლიმიტების გამოკვეთა. კვლევაში ნორმატიული ანალიზი გამოყენებულია ისტორიულ ასპექტში. ისტორიული მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის რეგულირების ევოლუცია საქართველოში, განსაკუთრებით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ადრინდელი რედაქციებიდან მოქმედ სამართლებრივ მოდელამდე. ისტორიული ანალიზი გამოყენებულ იქნა იმის გამოსავლენად, თუ როგორ იცვლებოდა კანონმდებლის მიდგომა შპს-ის პარტნიორთა სტრუქტურის დაცვისა და შპს-ის წილზე საკუთრების უფლების შეზღუდვის საკითხებთან მიმართებით და რა ლოგიკით ჩამოყალიბდა მოქმედი რეგულაცია.

კვლევა დაფუძნებულია ასევე შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებაზე. ამ მიზნით შერჩეულ იქნა ევროკავშირის, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი. ამ სამართლებრივი სისტემების შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენდა მათი პრაქტიკული რელევანტურობის, შპს-ის ან მის ფუნქციურად ეკვივალენტური იურიდიული ფორმების რეგულირების სიმწიფისა და ქართულ სამართლებრივ მოდელთან შედარების შესაძლებლობები. შედარებითი სამართლებრივი ანალიზი განხორციელებულია ფუნქციური მიდგომით და მიმართულია არა მხოლოდ ნორმების ფორმალური მსგავსებების, არამედ მათი პრაქტიკული დანიშნულებისა და შედეგების შეფასებისკენ, განსაკუთრებით ისეთ ინსტრუმენტებთან მიმართებით, როგორიცაა შპს-ის წილის გასხვისებაზე თანხმობის მოთხოვნა, წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, მემკვიდრეობით და განქორწინების შედეგად წილის გადასვლის თავისებურებები.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. კვლევის ფარგლებში შპს-ის წილის მიმოქცევასთან დაკავშირებით შესწავლილ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და უცხოური სასამართლო პრაქტიკა, რამაც მოგვცა სამართლებრივი ნორმების პრაქტიკული გამოყენების, მათი ინტერპრეტაციის ტენდენციებისა და ის ფაქტორები შედეგების შეფასების შესაძლებლობა, რომლებიც წარმოიშობა შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის სხვადასხვა მოდელის გამოყენების შემთხვევაში.

საკვლევი თემის დოქტრინალური ანალიზის ფარგლებში გამოყენებულია ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურა და სამეცნიერო სტატიები. დოქტრინალური ანალიზი დაგეხმარა შპს-ის პერსონალური ხასიათისა და პარტნიორული ურთიერთობების თეორიულ ახსნაში და საერთაშორისო კონტექსტში შედარებითი ჩარჩოს ფორმირებისა და ქართული მოდელის შეფასებაში. თითოეული წყარო გამოყენებულია არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის მიზნით, არამედ კონკრეტული კვლევითი ამოცანის შესაბამისად. ნაშრომში ასახულია საკვლევ თემაზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მხოლოდ ცალკეული მითითებები, ვინაიდან მსგავსი სპეციალური კვლევა დღემდე არ გამოქვეყნებულა.

ნაშრომის ფარგლებში კვლევა განხორციელდა ეტაპობრივად: პირველ ეტაპზე გაანალიზდა საქართველოს მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო და მისი შიდა ლოგიკა; მეორე ეტაპზე განხორციელდა შერჩეული უცხოური სამართლებრივი სისტემების ფუნქციური შედარება; მესამე ეტაპზე შეფასდა მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა შპს-ის წესდებისმიერი რეგულირების კონტექსტში; საბოლოოდ კი ჩამოყალიბდა დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია როგორც დოქტრინალური განვითარების, ისე პრაქტიკული გამოყენებისკენ.

კვლევაში გამოყენებული ყველა საკანონმდებლო აქტი, სასამართლო გადაწყვეტილება და სამეცნიერო წყარო არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

3. შედეგების განხილვა

კვლევამ აჩვენა, რომ შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის მოქმედი ქართული მოდელი პრაქტიკულად გამოსაყენებელი და თეორიულად დასაბუთებულია. მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია არა დამატებით საკანონმდებლო ცვლილებებზე, არამედ შპს-ის წესდების სწორად ფორმულირებასა და პარტნიორთა წინასწარ გააზრებულ რეგულაციურ არჩევანზე. თუმცა ისეთი მოდელური წესდებების შემუშავება, რომლებშიც ასახვას ჰპოვებდა წილის მიმოქცევის შეზღუდვის სხვადასხვა მექანიზმები, ამგვარი არჩევანის გაკეთებას მნიშვნელოვნად გაადვილებდა.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საქართველოში შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვასთან დაკავშირებით შექმნილია ისეთი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, ზოგადი სახით კანონისმიერად უზრუნველყოფილ იქნეს წილის მიმოქცევის თავისუფლება გარკვეული მინიმალური შეზღუდვებით, მეორე მხრივ კი, წესდებისმიერად კანონის დისპოზიციური ნორმების გამოყენებით შპს-ის პარტნიორების გადაწყვეტილებით უზრუნველყოფილ იქნეს წილის მიმოქცევის შეზღუდვა საკუთრებისა და მემკვიდრეობის ფუნდამენტური უფლებების დაცვით. კვლევამ ასევე აჩვენა იმის პრევენციის აუცილებლობა, რომ წესდებისმიერად წილის მიმოქცევის შეზღუდვის შესაძლებლობებმა შპს-ის პარტნიორები არ მიიყვანონ უკიდურეს ზომებამდე, რომლებიც შპს-ის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორი გახდება და რომელთა გამო სამომავლოდ თვით პარტნიორებს შეექმნებათ პრობლემები. ამ პრევენციის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა შემუშავდეს შპს-ის წილის მიმოქცევის ისეთი მოდელები და მექანიზმები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად ზღუდავენ წილზე საკუთრების უფლებას, წილის მესაკუთრისათვის და შპს-ის განვითარებისათვის არ არიან არსებითი ზიანის მომტანი.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ კანონისმიერი ჩარჩოს ფარგლებში შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის კონკრეტული წესდებისმიერი მოდელები და მექანიზმები, მართალია, შპს-ის პარტნიორთა გადაწყვეტილების შედეგია, მაგრამ ისინი უნდა შეიქმნას გარკვეული ცოდნისა და წყაროების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება

აღმოჩნდეს, რომ შეზღუდვა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს წილზე საკუთრების უფლებას და თვით შპს-ს აქცევს ჩიხში. შესაბამისად, წესდებით წილის მიმოქცევაზე შეზღუდვის დაწესებამდე მნიშვნელოვანია არსებული ნორმატიული ჩარჩოსა და უცხოური გამოცდოლების შესწავლა, არსებული მოდელებისა და მექანიზმების გაცნობა და მათი პარტნიორთა მიზნებისა და სურვილებისადმი მისადაგება. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის ხელშეწყობის მიზნით ნაშრომში გაანალიზებულია წილის მიმოქცევის შეზღუდვის ფორმები, რომლებიც შესაძლებელია დაინერგოს ქართულ შპს-ებში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს შპს-ების პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე, წესდებისმიერად შპს-ის წილის მიმოქცევა შესაძლებელია შეიზღუდოს ორი ფორმით - წილის გასხვისებაზე თანხმობის აუცილებლობით (შპს-ის ნებართვა) და წილის უპირატესი შესყიდვის უფლებით. შპს-ის წესდებაში შესაძლებელია დადგინდეს, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით პარტნიორს მიეცეს კონკრეტულ პირზე წილის გასხვისების ნებართვა ან ზოგადად ნებისმიერ პირზე წილის გასხვისების ნებართვა. საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია წილის გამსხვისებელ პარტნიორს დაეკისროს წილის გასხვისება სხვა პარტნიორთა უპირატესი შესყიდვის უფლების უზრუნველყოფით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კანონით ეს დასაშვებია, ქართულ შპს-ებში წესდებით არ უნდა გაუქმდეს ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება. კერძოდ, შპს ვალდებული უნდა იყოს, მესამე პირებზე ახალი წილების განთავსებამდე, შპს-ის არსებულ პარტნიორებს შესთავაზოს ახალი წილები მესამე პირებისთვის განსაზღვრულ ფასად და პირობებით. ამის გარდა, მიუხედავად იმისა, რომ კანონით დასაშვებია წილის გასხვისების წესდებით აკრძალვა, ეს მექანიზმის არ უნდა იქნეს შემოღებული, ვინაიდან წილის განკარგვის შეზღუდვა და პარტნიორთა სურვილის გათვალისწინება შესაძლებელია თანხმობისა და უპირატესი შესყიდვის უფლების, ასევე წილის გამოსყიდვისა და პარტნიორის გასვლის უფლების მექანიზმებით.

4. შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის მოწესრიგება

შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვა შესაძლებელია დაწესდეს და მისი პროცედურა მოწესრიგდეს კანონით და შპს-ის წესდებით. შესაბამისად, წილის მიმოქცევის შეზღუდვის

საფუძველი შეიძლება იყოს კანონისმიერი და წესდებისმიერი (გარიგებისმიერი) (შდრ. (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 444). აღსანიშნავია, რომ არსებობს წილის მიმოქცევის შეზღუდვის ორი ძირითადი ფორმა - წილის უპირატესი შესყიდვის უფლება და შპს-ის თანხმობა წილის განკარგვაზე. თუმცა ასევე შეიძლება არსებობდეს წილის მემკვიდრეობით ან თანამესაკუთრეზე გადასვლის შეზღუდვები.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს-ის დაფუძნებისას მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილ სარეგისტრაციო განაცხადში, რომელიც იმავდროულად იყო პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი, უნდა მითითებულიყო პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ამავე კანონის მე-5¹ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წილზე უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები რეგისტრირდებოდა სამეწარმეო რეესტრში.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის თანახმად, შპს-ის წილზე საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია იყო შპს-ის წესდებით. კანონის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შპს-ის პარტნიორებს უფლება ჰქონდათ, გაესხვისებინათ ან დაეტვირთათ (დაეგირავებინათ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული. შესაბამისად, წილის გადაცემასთან დაკავშირებით, შპს-ის წესდებით შეიძლებოდა გარკვეული შეზღუდვის დაწესება (მიგრიაული, 2021, გვ. 177). ამასთან, განსხვავებული იყო ამა თუ იმ შეზღუდვის მოწესრიგება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 2008 წლის 13 მარტის №5913 კანონით ცვლილების განხორციელებამდე, ითვალისწინებდა, რომ წესდებით შეიძლებოდა შპს-ის წილის გასხვისებისათვის აუცილებელი გამხდარიყო საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. კანონის 46¹-ე მუხლი პირველი პუნქტი შპს-ის წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას პირდაპირ ითვალისწინებდა. თუმცა, კანონის ამავე პუნქტის თანახმად, ამ უფლების გამორიცხვა შესაძლებელი იყო წესდებით.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს-ის სადამფუძნებლო შეთანხმება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას

სპეციალურ პირობაზე, რომელიც ზღუდავს წილების გასხვისებას, ასეთი შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში. კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოების წესდება უნდა შეიცავდეს მონაცემებს პარტნიორთა შორის შეთანხმებულ შეზღუდვის შესახებ წილზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, პარტნიორს აქვს უფლება, თავისუფლად განკარგოს შპს-ში საკუთარი წილი, თუ კანონით, წესდებით ან პარტნიორთა შეთანხმებით წილის განკარგვასთან დაკავშირებით არ არის დადგენილი შეზღუდვები. კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წილზე საკუთრების უფლების შეძენაზე შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები კანონით ან წესდებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონით, ზოგადად, განმტკიცებულია წილის თავისუფალი განკარგვის პრინციპი, რომლიდანაც გამონაკლისი მხოლოდ კანონით ან, იმპერატიული ნორმების ფარგლებში, შეიძლება დადგინდეს წესდებით (გიგუაშვილი და ჯუღელი, 2022, გვ. 66).

ამრიგად, საქართველოს მოქმედი კანონით შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვა მოწესრიგებულია იმპერატიული და დისპოზიციური ნორმებით. ამასთან, იმპერატიული ნორმების გათვალისწინებით, შეზღუდვების ფორმები, წინაპირობები და მათი გამოყენების პროცედურები დიდწილად წესრიგდება წესდებით, რითაც შეზღუდვები უფრო მოქნილი ხდება შპს-ის პარტნიორთა სურვილებთან და პარტნიორული სტრუქტურის შენარჩუნების მოთხოვნასთან.

5. შპს-ის არსებული წილის გადაცემის შეზღუდვა

შპს-ის პარტნიორების საკუთრებაში არსებული წილის გადაცემა, როგორც აღინიშნა, შეიძლება განხორციელდეს წილის გასხვისებით (გაყიდვით, გაჩუქებით, გაცვლით), მემკვიდრეობით ან განქორწინებისას ქონების გაყოფით. მართალია, როგორც აღინიშნა, ზოგადად, მოქმედებს წილის თავისუფალი განკარგვის პრინციპი, მაგრამ შპს-ის ინტერესების გათვალისწინებით, კანონით და წესდებით შეიძლება დადგინდეს გარკვეული შეზღუდვები და ამ შეზღუდვების წინაპირობები.

5.1. შპს-ის პარტნიორის მიერ წილის განკარგვის შეზღუდვები

5.1.1. წილის განკარგვის შეზღუდვა შპს-ის თანხმობით

„მეწარმეთა შესახებ“ 1994 წლის კანონის მოქმედების პერიოდში, როგორც აღინიშნა, წესდებით შეიძლებოდა შპს-ის წილის გასხვისებისათვის აუცილებელი გამხდარიყო საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. წესდებით შეიძლება დადგენილიყო: (1) წილის გასხვისების ნებართვა ან (2) წილის შეძენის ნებართვა. შესაბამისად, თეორიულად წილის გასხვისებისათვის შეიძლებოდა საჭირო გამხდარიყო ორი ნებართვის არსებობა. წესდებით შესაძლებელი იყო ცალკეული კატეგორიის პირების წილის შეძენის საერთოდ აკრძალვა. მაგალითად, შეიძლება აკრძალული ყოფილიყო კონკურენტი კომპანიის პარტნიორის მიერ წილის შეძენა. წესდებით შესაძლებელი იყო წილის შემძენისათვის გარკვეული წინაპირობების დადგენა (მაგალითად, ამა თუ იმ ვალდებულების შესრულება ან განსაზღვრული პიროვნული თვისებები). ნებართვის გამცემი ორგანო შეიძლებოდა ყოფილიყო შპს-ის დირექტორი ერთპიროვნულად ან პარტნიორთა კრება (ქანტურია, ნინიძე და 2002, გვ. 276).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქციის 141-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, შპს-ის პარტნიორს შეუძლია გადასცეს (გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს) თავისი წილი შპს-ისა და პარტნიორთა თანხმობის გარეშე. თუმცა კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტიდან და 30-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, შესაძლებელია წილის გადაცემისათვის საჭირო გახდეს შპს-ის ან/და პარტნიორთა თანხმობა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ შპს-ის წილის გასხვისებისათვის ან უფლებრივად დატვირთვისათვის შეიძლება დადგინდეს შპს-ის ან/და პარტნიორთა თანხმობის აუცილებლობა, შეიძლება საერთოდ აიკრძალოს პარტნიორის მიერ თავისი წილის გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა ან დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები (წინაპირობები). ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მითითებული შეზღუდვების დასაწესებლად აუცილებელია ყველა იმ პარტნიორის თანხმობა (მხარდაჭერა), რომელსაც ეხება მითითებული შეზღუდვები.

ცხადია, წილის გასხვისების აკრძალვა დაბალანსებული უნდა იყოს წილის გასხვისების მსურველი პარტნიორისათვის ისეთი ალტერნატივის შეთავაზებით, როგორიცაა მისი წილის შპს-ს მიერ გამოსყიდვა ან მისი შპს-დან გასვლა. ნებისმიერ შემთხვევაში, წილის გასხვისების აკრძალვასთან ერთად წესდებაში დეტალურად უნდა იყოს მითითებული აკრძალვის მაკომპენსირებელი წესები (ბურდული, მახარობლიშვილი და მაღრაძე, 2019, გვ. 119).

შპს-ის პარტნიორის მიერ წილის გასხვისებისათვის შეიძლება მოთხოვნილ იქნეს საზოგადოების ნებართვა. თუ შპს-ის წესდებით განსაზღვრულია, რომ წილის განკარგვა დამოკიდებულია საზოგადოების ნებართვაზე და წილის გასხვისება მოხდა ასეთი ნებართვის გარეშე, გარიგება არის მერყევად ბათილი, ანუ საზოგადოების შემდგომი თანხმობით ის ხდება ნამდვილი, ხოლო უარის შემთხვევაში - ბათილია (ჭანტურია და ნინიძე, 2002, გვ. 335). ნებართვაზე დამოკიდებულ წილს იურიდიულ ლიტერატურაში ვინკულირებული წილი ეწოდება (ბურდული, მახარობლიშვილი და მაღრაძე, 2019, გვ. 116). ვინკულირება არის საზოგადოების მიერ პარტნიორთა წრეზე კონტროლის ერთ-ერთი საშუალება (ბურდული, ტ.1, 2010, გვ. 312) და არ არის წილის ცალკე კლასი, რაც იმას ნიშნავს, რომ განკარგვის მსგავსი შეზღუდვა შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერი კლასის წილის მიმართ (ჭანტურია, ნინიძე, 2002, გვ. 333). ასეთი შეზღუდვა უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული წესდებაში. ამასთან, თუ წესი შემოღებულია პარტნიორთა გადაწყვეტილებით, წესდებაში ასახვის გარეშე, შეზღუდვა უნდა აისახოს სამეწარმეო რეესტრში.

შპს-ის წილის განკარგვის ნებართვაზე დამოკიდებულების ძირითადი მიზანია შპს-ის ინტერესების დაცვა. თუმცა წილის განკარგვის ასეთი შეზღუდვა უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთების სტანდარტი და ფარგლები უნდა დადგინდეს სასამართლო პრაქტიკით. მაგალითად, **გერმანიაში** წილის განკარგვის ნებართვის გაცემა უფლებამოსილი ორგანოს სრული დისკრეციაა, თანაც ნებართვის უარისათვის რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი არაა საჭირო, თუმცა გარკვეული დასაბუთება მაინც მოითხოვება (ბურდული, მახარობლიშვილი და მაღრაძე, 2019, გვ. 117).

მიზანშეწონილია, რომ შპს-ის წესდებაში დეტალურად გაიწეროს ის, თუ ვინ არის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი, რა პროცედურას ექვემდებარება ნებართვის მიღება, რა ვადაში მიიღება გადაწყვეტილება ასეთი ნებართვის გაცემაზე და ა.შ. ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს დირექტორი ან საერთო კრება (ჭანტურია და ნინიძე, 2002, გვ. 277). ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გამომდინარე იქიდან, რომ დირექტორი უძღვება საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას, გამოდის მისი სახელით და მისი ინტერესების დაცვაზე პასუხისმგებელი, ლოგიკური იქნებოდა ნებართვის გაცემა იყოს სწორედ შპს-ის დირექტორის კომპეტენცია (ბურდული, მახარობლიშვილი და მალრაძე, 2019, გვ. 117). თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში პარტნიორებიც ძირითადად უშუალოდ მონაწილეობენ შპს-ის საქმიანობაში, გადაწყვეტილება, დირექტორის წინადადების განხილვის საფუძველზე, მიღებულ იქნეს პარტნიორთა კრებაზე.

საყურადღებოა, რომ 2021 წლის კანონი წილის გასხვისებასთან დაკავშირებით შეზღუდვების ფართო არეალის დაწესების შესაძლებლობას იძლევა პარტნიორთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით. კანონის 1994 წლის რედაქციის მსგავსად, წილის გასხვისების შეზღუდვის სახით, შპს-ის წესდება შეიძლება შეიცავდეს პირთა განსაზღვრულ წრეს ან კონკრეტული პირის მიერ წილის შეძენის აკრძალვას. ამასთან, შეზღუდვის ერთ-ერთ სახეს შეიძლება წარმოადგენდეს შემძენის საზოგადოებაში დასაქმებულად ან დირექტორად ყოფნის ვალდებულება საზოგადოებიდან (ჭანტურია და ნინიძე, 2002, გვ. 276). წესდებით შეიძლება დადგენილი იყოს წილის უკან გამოსყიდვის ან წინასწარ ყიდვის უფლება, რაც ასევე წილის თავისუფალი განკარგვის შეზღუდვაა (ბურდული, მახარობლიშვილი და მალრაძე, 2019, გვ. 120).

საქართველოს შპს-ების პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე, შპს-ის წილის განკარგვა/შეძენა მიზანშეწონილია შეიზღუდოს წილის გასხვისებაზე და შეძენაზე შპს-ის თანხმობის აუცილებლობით. წესდებით შესაძლებელია დადგინდეს, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია პარტნიორს მიეცეს კონკრეტულ პირზე წილის გასხვისების ნებართვა ან ზოგადად ნებისმიერ პირზე წილის გასხვისების ნებართვა.

ამასთან, მიზანშეწონილია წესდებით დადგინდეს, რომ წილის განკარგვაზე/შემენაზე თანხმობა მიიღება პარტნიორთა საერთო კრებაზე (ჩვეულებრივი კვორუმით) დირექტორის წინადადების განხილვის საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის შეზღუდვები (წინაპირობები), რომლებიც წესდებითაა დადგენილი (ასეთი წინაპირობების დადგენის შემთხვევაში). ამგვარი წინაპირობების სახით შეიძლება განისაზღვროს წილის გამყიდველი პარტნიორის მიერ შპს-ის წინაშე გარკვეული ვალდებულებების შესრულება ან/და წილის შემძენის მიერ გარკვეული (მაგალითად, პროფესიასთან, განათლებასთან, გამოცდილებასთან, დასაქმებასთან და ა. შ. დაკავშირებული) მოთხოვნების დაკმაყოფილება.

აშშ-ის შპს-ის წილის გადაცემის შესაძლებლობა, როგორც წესი, უფრო მეტად შეზღუდულია, ვიდრე საჯარო კორპორაციებში, სადაც აქციების გადაცემა მეორად ბაზრებზე თავისუფლად ხდება. შპს-ის მოდელი უფრო მეტად ჰგავს ამხანაგური ტიპის საზოგადოებებს, რის გამოც, თუ საოპერაციო შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ახალი წევრის მისაღებად საჭირო ყველა წევრის ერთსულოვანი თანხმობა (Bainbridge, 2023, p. 182–183). საოპერაციო შეთანხმებით შესაძლებელია წილის გადაცემის მოცულობის განსაზღვრა. პრაქტიკაში ხშირად გამოიყოფა ეკონომიკური და მმართველობითი უფლებები, რაც საშუალებას აძლევს წევრებს, შეზღუდონ მმართველობითი უფლებების გადაცემა და დაუშვან ეკონომიკური უფლებების გადაცემა. ასეთი შემთხვევებისათვის საოპერაციო შეთანხმებები ხშირად ითვალისწინებს წინასწარი შესყიდვის უფლებებს (right of first refusal) არსებული წევრების სასარგებლოდ. აღნიშნული შეზღუდვების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს წილის გასხვისების ბათილობა (Cox & Hazen, 2020, p. 33). აშშ-ის შტატების უმეტესობაში ადრე შპს-ის წილის გასხვისება მკაცრ შეზღუდვებს ექვემდებარებოდა. თუმცა, „check-the-box“ საგადასახადო რეგულაციების შემდგომ, უკვე შესაძლებელია საოპერაციო შეთანხმებით წილის თავისუფალი გასხვისების დაშვება, შპს-ის საგადასახადო სტატუსის დაკარგვის რისკის გარეშე (Bainbridge, 2023, p. 182–83). ასეთი ლიბერალიზაციის მიუხედავად, პრაქტიკაში შპს-ის წევრები ხშირად თანხმდებიან წილის გასხვისების ხელშეკრულებით შეზღუდვაზე, კომპანიის „დახურული“ ხასიათის შენარჩუნების მიზნით (Cox & Hazen, 2020, p. 33).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 141-ე მუხლის მე-2 პუნქტით, როგორც აღინიშნა, გათვალისწინებულია, რომ შპს-ს პარტნიორთა ერთხმად მიღებული წესდებით ან გადაწყვეტილებით შეიძლება საერთოდ აკრძალოს წილის გასხვისება. ცხადია, რომ წესდებაში მოცემული აკრძალვა დაბალანსებული უნდა იყოს პარტნიორის ამ საფუძვლით გასვლის უფლებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აკრძალვა ბათილი დათქმა იქნება. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ასეთი აკრძალვა უნდა ჩაითვალოს გასვლის მნიშვნელოვან საფუძვლად და, შესაბამისად, შპს-ის პარტნიორს წარმოეშობა უფლება, გავიდეს საზოგადოებიდან (ბურდული, მახარობლიშვილი და მალრაძე, 2019, გვ. 118). მართალია, წილის გასხვისების აკრძალვის შესაძლებლობა დაბალანსებულია იმით, რომ ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ერთხმად, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ წინასწარ ყოველთვის შეუძლებელია სამომავლო მოვლენების დადგომის განჭვრეტა და საქმე კი გვაქვს წილზე საკუთრების უფლებასთან, მიზანშეწონილია აკრძალვის მექანიზმი საერთოდ (მათ შორის წესდებით) არ იქნეს შემოღებული. ამ მექანიზმის არარსებობის გარეშეც წილის განკარგვის შეზღუდვა და პარტნიორთა სურვილის გათვალისწინება შესაძლებელია წილის გასხვისებაზე შეზღუდვებითა და წილის გამოსყიდვისა და პარტნიორის გასვლის უფლების მექანიზმებით.

5.1.2. წილის განკარგვის შეზღუდვა უპირატესი შესყიდვის უფლებით

„მეწარმეთა შესახებ“ 1994 წლის კანონის მოქმედების პერიოდში, როგორც აღინიშნა, შპს-ის პარტნიორის მიერ წილის განკარგვა კანონისმიერად იყო შეზღუდული უპირატესი შესყიდვის უფლებით. თუმცა კანონი უშვებდა ამ უფლების გამორიცხვას წესდებით. კერძოდ, კანონის 46¹-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტიდან გამომდინარე, წესდებით შეიძლებოდა წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება. პარტნიორთა კრება ამ საკითხებზე (მათ შორის, საზოგადოების წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანაზე) გადაწყვეტილებას იღებდა დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით უფრო მაღალი კვორუმი არ იყო დადგენილი.

„მეწარმეთა შესახებ“ 1994 წლის კანონი ადგენდა წილის გასხვისების მსურველი პარტნიორის კანონისმიერ ვალდებულებას თანაპარტნიორის მიმართ გასასხვისებელი

წილის შესყიდვის სავალდებულო და უპირატეს შეთავაზებაზე (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 443). კანონის 46¹-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შპს-ის პარტნიორის მიერ წილის გაყიდვისას დანარჩენ პარტნიორებს თავიანთი წილების პროპორციულად აქვთ ამ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, უპირატესი შესყიდვის უფლების არსებობაში იგულისხმებოდა წილის გამსხვისებელი პარტნიორის ვალდებულება, თავისი წილი დანარჩენი პარტნიორებისათვის შეეთავაზებინა იმავე ფასად და პირობებით, რომლებითაც ის ამ წილის მესამე პირისთვის მიყიდვას აპირებდა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციით დადგენილი იყო შპს-ის წილის უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების წესი. კერძოდ, კანონის 46¹-ე მუხლის მე-2 - მე-6 პუნქტების თანახმად, პარტნიორი, რომელსაც თავისი წილის გაყიდვა სურდა, ვალდებული იყო ყველა დანარჩენი პარტნიორისათვის გაეგზავნა შეტყობინება წილის გაყიდვის თაობაზე. შეტყობინებაში მიეთითებოდა დასაძებ გარიგებაში აღნიშნული გასაყიდი წილის მოცულობა, ნასყიდობის ფასი, ანგარიშსწორების ვადა და წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადა (რომელიც არ უნდა ყოფილიყო 10 დღეზე ნაკლები შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან). შეტყობინება იგზავნებოდა დაზღვეული წერილით ან ტექნიკური საშუალებით (ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტით). ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება შესაბამისი პირისთვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად ითვლებოდა. პარტნიორი თავად წყვეტდა, რომელი საშუალებით გაეგზავნა შეტყობინება. თუ შპს-სათვის რომელიმე პარტნიორის მისამართი ან/და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია იყო უცნობი, პარტნიორი შეტყობინებას აქვეყნებდა ასევე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლებოდა მისი გამოქვეყნების მომენტიდან. შპს-ის წესდებით შეიძლებოდა აღნიშნულისაგან განსხვავებული წესების განსაზღვრა. პარტნიორი წილის შემენის უპირატესი უფლების რეალიზებას ახორციელებდა საზოგადოების მიმართ შესაბამისი განცხადებით მიმართვის მეშვეობით, რის შემდგომაც მიიღებოდა გადაწყვეტილება წილის გასხვისების შესახებ. თუ დადგენილ ვადაში პარტნიორი არ წარადგენდა შესაბამის განცხადს, ეს განიხილებოდა როგორც უარი უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე (სუსგ, 2002 წლის 21 მაისი, საქმე №3კ/530-02).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2021 წლის რედაქციაში კონკრეტულად არ არის მოხსენიებული პარტნიორის მიერ შპს-ის წილის განკარგვის შეზღუდვის თაობაზე უპირატესი შესყიდვის უფლებით. თუმცა, როგორც აღინიშნა, კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით და 141-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ შპს-ის ერთხმად მიღებული წესდებით შესაძლებელია შემოღებულ იქნეს პარტნიორის მიერ წილის გასხვისების აკრძალვა და შეზღუდვა. ამ შეზღუდვაში, ცხადია, მათ შორის იგულისხმება შპს-ის პარტნიორის წილის დანარჩენი პარტნიორების მიერ უპირატესი შესყიდვის უფლების საფუძველზე შეძენა. მოქმედი კანონის საფუძველზე წესდებით შესაძლებელია წილის გასხვისების უფლების მოდიფიცირება იმგვარად, რომ დაწესდეს შპს-ის წილის გამსხვისებელი პარტნიორის ვალდებულება სხვა პარტნიორისათვის წილის შეძენის უპირატესად შესთავაზებაზე. აქედან გამომდინარე, პარტნიორის მიერ წილის გასხვისების შემთხვევაში, შეიძლება ამოქმედდეს უპირატესი შესყიდვის წესდებისმიერი უფლება (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 444).

შპს-ის წესდებაში პარტნიორის მიერ წილის განკარგვის უპირატესი შესყიდვის უფლებით შეზღუდვასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლების მოწესრიგების მსგავსი წესები (137-ე მუხლი), მაგალითად, შემდეგი სახით: პარტნიორის მიერ თავისი წილის გასხვისებისას დანარჩენ პარტნიორებს აქვთ ამ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება; პარტნიორს არ აქვს უფლება, გაასხვისოს თავისი წილი, ვიდრე იგი დანარჩენ პარტნიორებს წერილობით არ შესთავაზებს თავისი წილის იმავე პირობებით შეძენას და ამისთვის არ განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 14 დღეზე ნაკლები; გასასხვისებელი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება მოქმედებს წილის პროპორციულად; პარტნიორს, რომელსაც აქვს გასასხვისებელი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, შეუძლია გამსხვისებელი პარტნიორის მიერ დადგენილ ვადაში უარი თქვას აღნიშნულ უფლებაზე ნებისმიერი სხვა პარტნიორის სასარგებლოდ.

გაერთიანებულ სამეფოში კერძო კომპანიების წესდებებში ფართოდ არის გავრცელებული უპირატესი შესყიდვის უფლება, რომლის მიზანია პარტნიორთა შემადგენლობის სტაბილურობა და არასასურველი მესამე პირების გამორიცხვა. აღნიშნული უფლება გულისხმობს, რომ პარტნიორი, რომელიც აპირებს თავისი წილების გასხვისებას, ვალდებულია ჯერ ისინი შესთავაზოს სხვა პარტნიორებს ან თავად კომპანიას, და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მათი გადაცემა სხვა პირზე (Dignam & Lowry, 2018, p. 8). ამ უფლების მოქმედების მოცულობა და შედეგები მთლიანად დამოკიდებულია კომპანიის წესდებაზე. შეზღუდვა უნდა იყოს მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული (Davies & Worthington, 2016, para. 27-7).

უპირატესი შესყიდვის პროცედურა იწყება მაშინ, როდესაც პარტნიორი გამოთქვამს წილის გასხვისების სურვილს და ამის შესახებ აცნობებს კომპანიას. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ განზრახვა არ არის საკმარისი უპირატესი შესყიდვის პროცედურის დასაწყებად. თუმცა, მესამე პირთან ხელშეკრულების დადება ან წილის შეძენის ოფციის (option to purchase) მინიჭება, როგორც წესი, იწვევს უპირატესი შესყიდვის უფლების პროცედურის ამოქმედებას, მაშინაც კი, თუ გარიგება ჯერ არ არის დასრულებული (*Lyle & Scott Ltd v Scott's Trustees* [1959] A.C. 763 (HL); *Theakston v London Trust Plc* [1984] B.C.L.C. 390). თუმცა თუ პარტნიორი ხელს აწერს წილის გადაცემის ოფიციალურ დოკუმენტს (იურიდიულ ფორმას) და გადასცემს მას კომპანიას (ან ახორციელებს მის დეპონირებას კომპანიაში), ეს ქმედება შეიძლება ჩაითვალოს წილის გადაცემად მაშინაც კი, თუ რეგისტრაციის პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული (*Hurst v Crompton Bros (Coopers) Ltd* [2003] 1 B.C.L.C. 304; *Re Claygreen* [2006] 1 B.C.L.C. 715). თუ წესდება დირექტორებს ანიჭებს უფლებას, უარი თქვან წილთა გადაცემის რეგისტრაციაზე, ეს დისკრეცია ფიდუციური ხასიათისაა და უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად - კომპანიის ინტერესების დაცვის, და არა სხვა პირადი მიზნით. უარის შემთხვევაში კომპანიამ უნდა აცნობოს ეს ფაქტი მყიდველს (Companies Act 2006, s. 771), რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა შეაფასოს დირექტორთა ქმედებები პარტნიორის ინტერესების არასამართლიანი შელახვის (unfair prejudice) კონტექსტში. სასამართლო ჩაერევა იმ შემთხვევაში, თუ დირექტორები გადაუხვევენ წესდებით დადგენილ საფუძვლებს,

გამოიყენებენ არარელევანტურ კრიტერიუმებს ან უხეშად დაარღვევენ კეთილსინდისიერების პრინციპს. თუ წესდება დირექტორებს განუსაზღვრელ დისკრეციას ანიჭებს, სასამართლო ჩარევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში (Davies & Worthington, 2016, para. 27-7).

აშშ-ში უპირატესი შესყიდვის უფლება, ისტორიულად, ფართოდ იყო გავრცელებული აშშ-ის კორპორაციების შესახებ რეგულაციებში. თუმცა დღეს ის იშვიათად გამოიყენება და მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს სპეციალურად არის გათვალისწინებული კომპანიის წესდებით (ბაქაქური და სხვ. 2019, გვ. 191; მაისურაძე და სხვ., 2019, გვ. 35). 1969 წლის MBCA ადგენდა უპირატესი შესყიდვის უფლებას ყველა კორპორაციაში, თუმცა 1984 წელს შევიდა ცვლილება და აღნიშნული უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ის დადგენილია საზოგადოების წესდებით (გვათუა, 2018, გვ. 49). MBCA აქციონერთა უფლებების დაცვის ძირითად საშუალებად განიხილავს არა უპირატესი შესყიდვის უფლებას, არამედ დირექტორთა ფიდუციური მოვალეობების დაცვას (ჯუღელი, 2010, გვ. 158). MBCA ითვალისწინებს დანარჩენი პარტნიორებისათვის შეთავაზების ვალდებულებას - Right of First Refusal აქციონერის მიერ საკუთარი აქციების გაყიდვის დროს (MBCA, § 6.27; ცერცვაძე, 2016, გვ. 85). განსაკუთრებით აღსანიშნავია დელავერის შტატი, სადაც უპირატესი შესყიდვის უფლება ავტომატურად არ ვრცელდება აქციონერებზე, რითაც ევროპის ქვეყნებისგან არსებითად განსხვავდება (მაისურაძე და სხვ., 2019, გვ. 250).

პრაქტიკული თვალსაზრისით, პრობლემატურია, რამდენად ეფექტურად იცავს უპირატესი შესყიდვის უფლება პარტნიორთა ინტერესებს, რადგან პარტნიორს შეიძლება არ ჰქონდეს უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობის ფინანსური შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, უპირატესი შესყიდვის უფლების არსებობა მისთვის რეალურად არაფრის მომცემია. ამ ვითარებით ხშირად სარგებლობენ უმრავლესობაში მყოფი პარტნიორები, როდესაც განზრახ უშვებენ ახალი წილების საბალანსო ღირებულებაზე დაბალ ფასად, რითაც უმცირესობაში მყოფ პარტნიორთა შპს-ის მართვაში გავლენა კიდევ უფრო სუსტდება (ცერცვაძე, 2016, გვ. 50). თუმცა იმასთან დაკავშირებით, რომ პარტნიორისათვის ალტერნატივის შეთავაზების გარეშე წილის გასხვისების აკრძალვა დაუშვებელია, ხოლო

გასხვისება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძლება წინააღმდეგობაში იყოს პარტნიორთა ინტერესებთან, წესდებაში შეტანილ უნდა იქნეს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პარტნიორის ფინანსური დაზღვევის პირობა (მაგალითად, თანხის გადახდის გადავადება შპს-ის თავდებობით ან თანხის შპს-ის მიერ გადახდა შპს-ის წინაშე ვალდებულების წარმოშობით).

5.2. წილის გადასვლის შეზღუდვა მემკვიდრეობის შემთხვევაში

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი, 2008 წლის 13 მარტის №5913 კანონით ცვლილების განხორციელებამდე, ითვალისწინებდა, რომ პარტნიორის წილის გადაცემა შეიძლებოდა მემკვიდრეობით. შემდგომ რედაქციაში მითითებული ჩანაწერიც ამოღებულ იქნა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, მითითებული ჩანაწერი არსებობდა თუ არა, წილის გადაცემა წესრიგდებოდა მხოლოდ მემკვიდრეობის სამართლით (ჭანტურია და ნინიძე, 2002, გვ. 274). სასამართლო პრაქტიკაც მიიჩნევდა, რომ პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი შედიოდა სამკვიდრო მასაში და გადადიოდა მემკვიდრეებზე (სუსგ, 2002 წლის 21 მაისი, საქმე №3კ/530-02).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის მოქმედების პერიოდში წესდებით არ შეიძლებოდა წილის მემკვიდრეობით გადასვლა, მაგრამ წესდებით დასაშვები იყო მემკვიდრეთა პარტნიორებად მიღების საკითხის მოწესრიგება. პარტნიორის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეებზე გადადიოდა შპს-ში წევრობა ისეთივე მოცულობით და ოდენობით, როგორც სამკვიდროს გახსნისას მამკვიდრებელს ჰქონდა. წესდებით შეიძლებოდა დადგენილიყო, რომ მემკვიდრეობის ოფიციალურად გაფორმებამდე მემკვიდრეს შეეძლო პარტნიორის ფუნქციების შესრულება. თუ მემკვიდრე რამდენიმე იყო, წილი მათზე გადადიოდა საერთო საკუთრებაში (ჭანტურია და ნინიძე, 2002, გვ. 274).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქციის მოქმედების პერიოდშიც მამკვიდრებლის წილის გადასვლა მემკვიდრეებზე ხდება მემკვიდრეობის სამართლის ნორმებით. თუმცა კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ მემკვიდრეობის შემთხვევაში სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილება (მემკვიდრის პარტნიორად რეგისტრაცია)

შეიძლება განხორციელდეს მემკვიდრის მოთხოვნით. შპს-ის პარტნიორის სტატუსი მემკვიდრეს მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციით ენიჭება და არა სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების მომენტში (ბურდული, მახარობლიშვილი და მალრაძე, 2019, გვ. 120). თუმცა პარტნიორებს უნდა ჰქონდეთ უფლება, შეზღუდონ მემკვიდრისათვის პარტნიორის სტატუსის მინიჭება.

გამომდინარე იქიდან, რომ სამკვიდრო მამკვიდრებლის გარდაცვალებისთანავე იხსნება და მემკვიდრეს ენიჭება უფლება მართოს სამკვიდრო, შეიძლება ჩაითვალოს, რომ შპს-ის წილის მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში, მემკვიდრეს უნდა წარმოეშვას წილის მართვის უფლება. ამ უფლების დადასტურების მიზნით, მემკვიდრემ უნდა მიმართოს ნოტარიუსს ცნობის გაცემის მოთხოვნით, რომლითაც დასტურდება მისი უფლებამოსილება სამკვიდროს მართვასთან დაკავშირებით. მითითებული დოკუმენტის საფუძველზე, მემკვიდრეს შეუძლია მიმართოს სამეწარმეო რეესტრს წილის მმართველად რეგისტრაციის მოთხოვნით, ასევე, ამ დოკუმენტის საფუძველზე მემკვიდრეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვის პროცესში (ფიფია, შპს-ს პარტნიორის სტატუსი, გვ. 35).

მემკვიდრეების მიერ პარტნიორის სტატუსის მიღების საკითხები წესრიგდება საზოგადოების წესდებით, სადაც გამოხატული უნდა იყოს მამკვიდრებლის ნება მემკვიდრეების პარტნიორობის თაობაზე. მაგალითად, მხოლოდ კონკრეტული მემკვიდრე ან მემკვიდრეები შეიძლება გახდნენ პარტნიორები. რამდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში კი ერთ-ერთი მემკვიდრის, როგორც მემკვიდრეთა ჯგუფის წარმომადგენლმა განახორციელოს პარტნიორის უფლებები (ბურდული, მახარობლიშვილი და მალრაძე, 2019, გვ. 122). ამასთან, წესდებაში დაუშვებელია იმის მითითება, რომ გარდაცვლილი პარტნიორის წილის მიღება და, შესაბამისად, საზოგადოების წევრობა, შესაძლებელია მხოლოდ ანდერძისმიერი მემკვიდრის მიერ, რადგან სამოქალაქო კოდექსი ადგენს კანონისმიერ მემკვიდრეთა უფლებას, მიიღონ სავალდებულო წილი, რაც მათ თანაბრად ანიჭებს საზოგადოებაში პარტნიორობის უფლებას (ლილუაშვილი, 2005, გვ. 221).

გერმანიაში კანონით უზრუნველყოფილია შპს-ის წილების გადაცემა მემკვიდრეობით (GmbHG §15(1)). შპს-ის პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი წილი კანონის

შესაბამისად გადადის მის მემკვიდრეებზე. დაუშვებელია წესდებით ხელი შეეშალოს ან აღიკვეთოს ასეთი გადაცემა. თუმცა, წესდებით შესაძლებელია შემუშავდეს წესები იმისთვის, რომ გარდაცვლილის წილი არ დარჩეს მის მემკვიდრეებთან. მაგალითად, წესდებით პარტნიორებს შეუძლიათ საზოგადოებას მიაწოდონ უფლება, მისი მემკვიდრეებისგან გამოსყიდოს გარდაცვლილი პარტნიორის წილი GmbHG-ის § 34 საფუძველზე. გარდა ამისა, წესდებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ საზოგადოების მიერ წილის გამოსყიდვა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეთა მიერ არ შესრულდება თავიანთი ვალდებულებები. ამასთან, საზოგადოება მემკვიდრეს ახალ პარტნიორად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეტანილია პარტნიორთა სიაში და ასეთი სია რეგისტრირებულია სავაჭრო რეესტრში (GmbHG §16(1)).

გაერთიანებულ სამეფოში, კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტის მიხედვით, კომპანიის წილები შეიძლება გადავიდეს მემკვიდრეზე კანონისმიერად გარდაცვლილის პირადი წარმომადგენლის (personal representative) მეშვეობით. თუმცა პირადი წარმომადგენელი კომპანიის წევრი რომ გახდეს, საჭიროა მისი განაცხადი და შესაბამისი რეგისტრაცია წევრთა რეესტრში. რეგისტრაციამდე მას ენიჭება გარდაცვლილის შესაბამისი უფლებები, თუმცა არ აქვს საერთო კრებაში დასწრების ან კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. კერძო კომპანიებში პროცესი შეიძლება შეფერხდეს წესდებით დადგენილი უპირატესი შესყიდვის უფლებების ან სხვა შეზღუდვების გამო. რეგისტრაციის შემდეგ, წარმომადგენელი პირადად ხდება პასუხისმგებელი წილზე დაუფარავი ვალდებულებების მიმართ (Davies & Worthington, 2016, paras. 27-20 – 27-21; Companies Act 2006, ss. 540–544).

აშშ-ში წილის მემკვიდრეობით გადაცემა თავად შპს-ს იურიდიულ ბუნებას უფრო უკავშირდება. შპს-ის პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში, მემკვიდრეს გადაეცემა მხოლოდ ქონებრივი უფლებები. პრინციპი „აირჩიე პარტნიორი“ მოქმედებს ამხანაგური ტიპის იურიდიული პირების შემთხვევაში (Pachman, 2020) შპს-ის წილი, ისევე, როგორც ამხანაგობის წილი, შედგება ორი ცალკეული კომპონენტისგან: მართვის უფლება - კონტროლი ან მონაწილეობა საზოგადოების მართვაში; ქონებრივი უფლება - მოგებისა და ზარალის გაზიარება და განაწილებაში მონაწილეობის მიღება (*Ott v. Monroe*, 2011 WL

5325470 (Va. 2011)). მრავალწევრიანი შპს-ს შემთხვევაში, მემკვიდრე განიხილება, როგორც ქონებრივი უფლებების მიმღები და მემკვიდრეებს არ ეძლევათ მართვაში მონაწილეობის უფლებამოსილება. მემკვიდრეს ასევე არ აქვს უფლება წამოიწყოს შპს-ის იძულებითი ლიკვიდაციის პროცესი ან თუნდაც, მოიპოვოს ინფორმაცია შპს -ის მიერ მოგების განაწილების შესაძლებლობის შესახებ. ერთკაცა შპს-ში, თუ პარტნიორი არ დაასახელებს მემკვიდრეს, რომელიც გახდება შპს-ის სრულუფლებიანი პარტნიორი, ეს გამოიწვევს შპს-ის დაშლას (*Succession of McCalmont*, 261 So.3d 903 (La. App. 2018)).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სამკვიდრო მოწმობის გაცემის შემდეგ მემკვიდრეთა პარტნიორად რეგისტრაციის საკითხი ავტომატურად არ უნდა იწვევდეს მემკვიდრის პარტნიორობას. მოცემული საკითხი უნდა განხილულ იქნეს შპს-ის პარტნიორთა საერთო კრებაზე, სადაც შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება როგორც მემკვიდრეთა პარტნიორად რეგისტრაციის, ისე მემკვიდრეთაგან სამკვიდრო წილის გამოსყიდვის თაობაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ცხადია, შპს-ის წესდებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ შპს-ის მიერ მოხდება მემკვიდრეთათვის სამკვიდრო წილის სამართლიანი ფასის გადახდა.

5.3. წილის გადასვლის შეზღუდვა განქორწინების შემთხვევაში

შპს-ში წილი პარტნიორის მიერ შეიძლება შეძენილი იყოს მისი ქორწინების პერიოდში. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ შპს-ის პარტნიორად რეგისტრირებულია და წილს მართავს მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლე, წილი მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, რამაც განქორწინებისას შესაძლოა წარმოშვას პარტნიორის სტატუსის მქონე მეუღლისაგან მეორე მეუღლისათვის წილის ნაწილის გადაცემის პრობლემა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლით დადგენილია, რომ თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. შესაბამისად, შპს-ის წილის თანასაკუთრება, თითქოს, ლოგიკურად გულისხმობს, რომ თუ ერთ მეუღლეს, როგორც შპს-ის პარტნიორს, აქვს ქონებრივი და მმართველობითი უფლება-მოვალეობები, იგივე უფლება-მოვალეობები უნდა ჰქონდეს მეორე მეუღლესაც, თუნდაც ის სამეწარმეო

რეესტრში არ იყოს რეგისტრირებული შპს-ის პარტნიორად (შდრ. კალანდაძე, 2011, გვ. 103), რადგან ისიც წილის მესაკუთრეა (ლილუაშვილი, 2005, გვ. 228).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2021 წლის რედაქციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წევრობის უფლებები შპს-ში შეიძლება ეკუთვნოდეს ერთდროულად რამდენიმე პირს, მათ შორის მეუღლეებს. თუ ორივე მეუღლე სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია ერთი წილის თანამესაკუთრეებად, კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ისინი იქნებიან თანაპარტნიორები, ვინაიდან შპს-ის პარტნიორი, კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება. პარტნიორის უფლებამოსილებას (წილის მართვას), კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განახორციელებს თანაპარტნიორების მიერ ერთობლივად არჩეული მესამე პირი ან ერთ-ერთი მეუღლე.

ამრიგად, ორივე მეუღლეს პარტნიორის უფლება-მოვალეობები წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ან თავ-თავიანთი წილებით იქნებიან პარტნიორებად რეგისტრირებული ან ერთი წილით იქნებიან თანაპარტნიორებად რეგისტრირებული. მაშინ კი, როდესაც ქორწინების განმავლობაში შეძენილ წილზე მხოლოდ ერთი მეუღლეა პარტნიორად რეგისტრირებული, მხოლოდ ამ მეუღლეს აქვს პარტნიორის სტატუსი და შესაბამისი უფლება-მოვალეობები. სხვა საქმეა, რომ ორივე მეუღლეს ეკუთვნის ამ წილთან დაკავშირებული ქონებრივი შედეგები (შენატანი, დივიდენდი და ა.შ.) და განკარგვის უფლებები.

გერმანიაში ქორწინების პერიოდში შეძენილი შპს-ის წილის თანამესაკუთრე მეუღლეები განიხილებიან როგორც ერთი პარტნიორი. წილის თანამესაკუთრეები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი საზოგადოების წინაშე წილის სანაცვლოდ შენატანის შეტანაზე (GmbHG §18(2)). წილთან დაკავშირებული უფლებების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ თანამესაკუთრეების მიერ ერთობლივად (GmbHG §18(1)). ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიმართ საზოგადოების ნებისმიერი სამართლებრივი აქტი მოქმედებს ყველა თანამესაკუთრის მიმართ, თუ არ არსებობს თანამესაკუთრეების საერთო წარმომადგენელი (GmbHG §18(3)). წესდებით შესაძლებელია სავალდებულო გახდეს თანამესაკუთრეების

მიერ საერთო წარმომადგენლის დანიშვნა. წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში, თანამესაკუთრებს შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ წარმომადგენლის მეშვეობით და საზოგადოებას მხოლოდ ამ წარმომადგენელთან უნდა ჰქონდეს კავშირი (Rosengarten, Burmeister and Klein, 2020, 149).

გაერთიანებული სამეფოში, წილის კანონიერი მფლობელია ის პირი, რომლის სახელი მითითებულია კომპანიის წევრთა რეესტრში (Companies Act 2006, s. 112). ქორწინება არ წარმოშობს წილების თანასაკუთრებას, და ის მეუღლე, რომლის სახელიც არ არის რეესტრში, წილთან დაკავშირებით პირდაპირი პარტნიორული უფლებებით არ სარგებლობს. თუმცა, ინგლისსა და უელსში, სასამართლოს შეუძლია სამართლიანი ქონებრივი განაწილების უზრუნველსაყოფად, დაადგინოს მეუღლეებს შორის კომპანიის წილების განაწილება (Matrimonial Causes Act 1973, s. 24(1)(a)). სასამართლო შოტლანდიაში, კომპანიის წილების ღირებულებას მიიჩნევს „საქორწინო ქონების“ ნაწილად, რომელიც სამართლიან გაყოფას ექვემდებარება (Family Law (Scotland) Act 1985).

აშშ-ის შტატების უმეტესობაში შპს-ში წილის ქორწინების პერიოდში შეძენისას, საოჯახო სამართლის წესების შესაბამისად, მიიჩნევა მეუღლეთა საერთო ქონებად, თუ იგი შეძენილია ან მნიშვნელოვნად გაზრდილია ქორწინების პერიოდში (*In re Brace*, 470 P.3d 15 (Cal. 2020); Texas Family Code, § 3.002). ზოგიერთ შტატში ქორწინების განმავლობაში შეძენილი წილი განიხილება როგორც სამართლიანად გასანაწილებელი ქონება, მიუხედავად იმისა, ვისი სახელზე არის ის რეგისტრირებული (RULLCA, §§ 502–504 (Official Comment)). RULLCA-ს მიხედვით, შპს-ში წევრობა და წევრის მმართველობითი უფლებები მხოლოდ რეესტრში რეგისტრირებულ წევრს გააჩნია. წილიდან გამომდინარე ეკონომიკური უფლების (transferable interest) გადაცემით, მათ შორის განქორწინების შედეგად, მიმღებს ავტომატურად არ ენიჭება წევრის სტატუსი, არამედ მიეკუთვნება მხოლოდ ეკონომიკური უფლებები (მოგების მიღების უფლება, გადახდების მოთხოვნა) (RULLCA, §§ 502–504 (Official Comment)). ამგვარად, განქორწინებისას მეუღლე შეიძლება გახდეს შპს-ის წილის თანამესაკუთრე ქონებრივ ნაწილში, მაგრამ მმართველობით უფლებებს მიიღებს მხოლოდ საოპერაციო შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან სხვა წევრთა თანხმობით.

ქორწინების პერიოდში შეძენილ შპს-ის წილზე განქორწინებით საკუთრების უფლების გადასვლისას ერთმანეთისაგან განსხვავდება: (1) განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრებად სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული წილების თანაპარტნიორ მეუღლეებს შორის გაყოფა და (2) განქორწინებული ერთ-ერთი მეუღლის საკუთრებად სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული წილის ნაწილის გადასვლა მეორე მეუღლეზე.

შპს-ის თანაპარტნიორმა მეუღლეებმა, განქორწინების შემთხვევაში, შეიძლება არ მოისურვონ, რომ დარჩნენ თანაპარტნიორებად ანუ თანასაკუთრებად რეგისტრირებული შპს-ის წილების თანამესაკუთრებად. შესაბამისად, ვინაიდან ორივე მათგანი შპს-ის პარტნიორია, წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ პარტნიორ მეუღლეებს, თუ მათი შეთანხმებით წილი ერთ-ერთ მეუღლეს არ რჩება, შეუძლიათ დარჩნენ შპს-ის პარტნიორებად, მაგრამ არა როგორც თანაპარტნიორებად, არამედ თავ-თავიანთი წილის მესაკუთრე პარტნიორებად.

შედარებით რთულადაა საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც ქორწინების განმავლობაში შეძენილი წილი ერთ-ერთი მეუღლის საკუთრებად არის რეგისტრირებული და, შესაბამისად, პარტნიორის სტატუსიც ერთ-ერთ მეუღლეს გააჩნია. ამ შემთხვევაში მეორე მეუღლე არ არის შპს-ის პარტნიორის სტატუსის მქონე და შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მეუღლეები შეიძლება შეთანხმდნენ წილის გაყოფაზე, პარტნიორთა გადასაწყვეტი უნდა იყოს არარეგისტრირებულ მეუღლეზე წილის გადასვლისა და მისი პარტნიორად მიღების საკითხი.

მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული წილის გაყოფისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის შეზღუდვები, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს ახალი პარტნიორის მიღებას საზოგადოებაში (სუსგ, 2012 წლის 28 ივლისის განჩინება, საქმე №ას-97-93-2012; სუსგ, 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-605-579-2016). წესდებით მიზანშეწონილია დადგინდეს, რომ მეუღლეთა განქორწინების შემდეგ, თუ მეუღლეები არ შეთანხმდებიან ქორწინების განმავლობაში შეძენილი წილის რეგისტრირებული პარტნიორის საკუთრებაში დატოვებაზე, პარტნიორად არარეგისტრირებული მეუღლის რეგისტრაციის საკითხი განიხილება საერთო კრებაზე, სადაც შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება

არარეგისტრირებული მეუღლის პარტნიორად რეგისტრაციის თაობაზე ან არარეგისტრირებული მეუღლის კუთვნილი წილის გამოსყიდვის თაობაზე. ამასთან, წესდებით გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ არარეგისტრირებულ მეუღლეზე შპს-ის მიერ გაიცემა მისი კუთვნილი წილის სამართლიანი ფასი.

6. ახალი და საკუთარი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება

შპს-ის მიერ შეიძლება გამოშვებულ იქნეს ახალი წილები, რომელთა გასხვისება, თუ წესდებით განსხვავებული წესი არ არის დადგენილი, ხორციელდება შპს-ის პარტნიორთა უპირატესი შესყიდვის უფლების საფუძველზე. ამის გარდა, შპს-ის პარტნიორის წილის გამოსყიდვის, პარტნიორისათვის წილის ჩამორთმევის, შპს-დან პარტნიორის გასვლის ან შპს-დან პარტნიორის გარიცხვის შედეგად შპს-ის საკუთრებაში შეიძლება აღმოჩნდეს საკუთარი წილი, რომლის გასხვისებაც ასევე შეიძლება განხორციელდეს შპს-ის დარჩენილ პარტნიორთა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებით.

6.1. შპს-ის ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის მიხედვით არ ხდებოდა ახალი წილების გამოშვება, მაგრამ კანონით გათვალისწინებული იყო კაპიტალის გაზრდა, რომელში მონაწილეობით შეიძლებოდა პარტნიორთა შორის წილების განაწილების ცვლილება. კანონის 46-ე მუხლის მე-2¹ მუხლის თანახმად, შპს-ის კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში პარტნიორებს უფლება ჰქონდათ, თავიანთი წილების პროპორციულად მიეღოთ მონაწილეობა კაპიტალის გაზრდაში, საერთო კრების მიერ დადგენილ ვადაში კაპიტალში შესაბამისი შენატანების სრული ოდენობით განხორციელებით, თუ ყველა პარტნიორი ამ უფლების გამოყენების სხვა წესზე არ იყო შეთანხმებული. ამასთანავე, რომელიმე პარტნიორის მიერ ამ უფლების სრულად ან ნაწილობრივ გამოუყენებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა კაპიტალის გაზრდის შემდეგ პარტნიორთა წილების ახალი თანაფარდობის წარმოშობა. პარტნიორის მიერ უფლების გამოუყენებლობას უკავშირდებოდა წილების თანაფარდობის ცვლილება. კაპიტალის გაზრდის შემდეგ პარტნიორთა წილები შესაძლებელი იყო ხელახლა გადანაწილებულიყო სხვა პარტნიორების მიერ

განხორციელებული დამატებითი შენატანების წილების პროპორციულად, შედეგად კი, იმ პარტნიორის წილი შემცირებულიყო, რომელსაც დამატებითი შენატანი არ შეუტანია. კანონმდებლის მიზანი რომ ამგვარი იყო, გამომდინარეობდა ნორმის განმარტებითი ბარათიდანაც („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს 46-ე მუხლის 2¹ პუნქტი დაემატა 19.02.2016 წ., იხ. საკანონმდებლო ცვლილებების განმარტებითი ბარათი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში წილის მფლობელს აქვს თავისი წილის საზოგადოების განახლებული კაპიტალის პროპორციულად გაზრდის უფლება კაპიტალში შესაბამისი შენატანის განხორციელების გზით) (სუსგ, 2025 წლის 25 მარტის განჩინება, საქმე №ას-1506-2024). ამრიგად, კანონის თანახმად, დამატებითი შენატანის განხორციელება არა წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას, არამედ არსებული წილის შენარჩუნების უფლებას უკავშირდებოდა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2021 წლის რედაქციის 140-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული წესდებით ან წესდების ცვლილებით შეიძლება დადგინდეს, პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, პარტნიორების მიერ დამატებითი შენატანის ფულადი სახით განხორციელების ვალდებულება. ამ შემთხვევაში წესდებით განსაზღვრული უნდა იყოს დამატებითი შენატანის მაქსიმალური ოდენობა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამატებითი შენატანს პარტნიორები ახორციელებენ თავიანთი წილების პროპორციულად. ამრიგად, წილის სანაცვლოდ შენატანისაგან განსხვავებით, დამატებითი შენატანი არ ახდენს გავლენას წილების პროპორციაზე. თუმცა, თუკი პარტნიორები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, დამატებითი შენატანი პარტნიორებზე უნდა გადანაწილდეს წილების პროპორციულად (გიგუაშვილი და ჯუღელი, 2022, გვ. 220).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქციით შპს-ის პარტნიორის უპირატესი შესყიდვის უფლება დადგენილია მხოლოდ გამოშვებული ახალი წილის მიმართ (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 443). თუმცა უპირატესი შესყიდვის უფლებით შეიძლება გასხვისდეს შპს-ის მიერ პარტნიორისაგან გამოსყიდული წილი (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 443-444) და, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შპს-ის საკუთრებაში სხვაგვარად აღმოჩენილი წილები.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქციის 136-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გამოშვებულად ითვლება წილები, რომელთა განთავსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს პარტნიორებმა ან მიიღო პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან წესდებით განსაზღვრულმა ორგანომ. გამოშვების ეტაპზე წილი იქმნება როგორც საკუთრების ობიექტი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი კონკრეტული პარტნიორის საკუთრებაში. წილის გამოშვება, როგორც წესი, გარდამავალი ეტაპია მის განთავსებამდე. თუკი ამ ორ ეტაპს შორის არის დროითი შუალედი, რეესტრში წილები უკვე გამოშვების ეტაპზე აისახება. პარტნიორებისათვის წილების გადაცემით (განთავსებით) წილები უკვე განთავსებულ წილებად გარდაიქმნება (გიგუაშვილი და ჯუღელი, 2022, გვ. 214).

შპს-ის მიერ ახალი წილების გამოშვების შემთხვევაში, კანონის 137-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, პარტნიორებს აქვთ ამ წილების უპირატესი შესყიდვის უფლება. უპირატესი შესყიდვის უფლება პარტნიორის ქონებრივი უფლებათა, ვინაიდან მისი მთავარი მიზანია კაპიტალში წილის პროპორციული ზრდა (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 443). ამასთან, გამოშვებული ახალი წილის თავისუფალი განკარგვის უპირატესი შესყიდვის ინსტიტუტით შებოჭვა, შპს-ში პარტნიორული სტრუქტურის შენარჩუნების ერთგვარი საშუალებაა. მეორე მხრივ კი, უპირატესი შესყიდვის უფლებით უზრუნველყოფა პარტნიორის წილის პროპორციული შენარჩუნება და გაუფასურებისაგან დაცვა (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 444). ამის გარდა, შპს-ის მიერ ახალი წილების გამოშვებისას შეიძლება საჭირო გახდეს პარტნიორთა დამატებითი დაცვა, რათა არ მოხდეს ასეთი წილების უსამართლოდ დაბალ ფასად გაყიდვა კონკრეტულ მყიდველებზე, ასევე არ შემცირდეს მათი წილიდან გამომდინარე უფლებები და მართვაში გავლენა. საზოგადოების მიერ წილების გამოშვების შემთხვევაში, არსებულ პარტნიორებს უნდა შეეძლოთ ამ წილების შეძენა, მანამ, სანამ მათი შეთავაზება საჯაროდ მოხდება (Kiseliov, A. I., et.al., 1999, p. 246).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 137-ე მუხლის პირველი პუნქტის დისპოზიციური ხასიათით უზრუნველყოფა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების ან წილის შესყიდვის პირობების დაკონკრეტების შესაძლებლობა წესდებით. ზოგადად, ახალი წილის შეძენის

მიმართ უპირატესი შესყიდვის უფლება კანონისმიერია, მაგრამ ამ ინსტიტუტის ამოქმედება თანაბრად დასაშვებია წესდებისმიერად (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 444).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შპს ვალდებულია მესამე პირებზე ახალი წილების განთავსებამდე, შპს-ის ყველა პარტნიორს შესთავაზოს ახალი წილები მესამე პირებისთვის განსაზღვრულ ფასად და პირობებით. ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უპირატესი შესყიდვის უფლება მოქმედებს რეორგანიზაციისას შპს-ის მიერ პარტნიორისგან გამოსყიდული წილის დანარჩენ პარტნიორებზე გასხვისების შემთხვევაში. კანონი შპს-ის გამოშვებული წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას განიხილავს გარკვეულ პირობაზე, ახალი წილების განთავსებაზე, დამოკიდებულ უფლებად (ბურდული, ტ. 2, 2010, გვ. 249).

უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების დროს მნიშვნელოვანია პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვა, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული უფლება ყველა პარტნიორისათვის თანაბრად უნდა იყოს გარანტირებული. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 137-ე მუხლის პირველი პუნქტით შპს-ის პარტნიორებს ენიჭებათ ახალი წილების უპირატესი შესყიდვის პროპორციული უფლება. თუმცა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით დაშვებულია უპირატესი შესყიდვის უფლების პროპორციის დარღვევა, თუ ყველა პარტნიორი ამ უფლების გამოყენების სხვა წესზე არ არის შეთანხმებული. საგულისხმოა, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება არის უფლებრივი კატეგორია და დაუშვებელია პარტნიორის „იძულება“, შეიძინოს ახალი წილი. თუ წესდებით წილის უპირატესი შესყიდვის უფლება წილის შეძენის ვალდებულებად გარდაიქმნება, წესდების ასეთი დათქმა ბათილი იქნება (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 445).

გამოშვებული ახალი წილების უფლება მხოლოდ მოქმედ პარტნიორებს აქვთ და შეთავაზებაც უპირველესად მათ მიმართ ხორციელდება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 137-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ახალი წილების გამოშვებისას შპს ვალდებულია ყველა პარტნიორს გაუგზავნოს შეტყობინება და განუსაზღვროს მათ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 14 დღეზე ნაკლები. პარტნიორებისათვის შეძენის შეთავაზება უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით

და იმ ობიექტურად დადგენილი პირობებით (მაგალითად, წილის მინიმალური და მაქსიმალური ღირებულება, ღირებულების დადგენის მეთოდი, შეძენის განხორციელების ვადა), რომელსაც შპს წილის შეთავაზების ეტაპზე მესამე პირებსაც წარედგინება. მითითებული ვადის ამოწურვამდე საზოგადოებას ეკრძალება ახალი წილების განთავსება მესამე პირებზე. მხოლოდ ამგვარი პირველადი შეთავაზების შედეგების გათვალისწინებით არის დასაშვები განუსაზღვრელ პირთა წრისათვის შეთავაზების განხორციელება (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 445).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 137-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პარტნიორს შეუძლია წილის შესყიდვის ვადის ფარგლებში უპირატესი შესყიდვის უფლება დაუთმოს მესამე პირს - გარეშე პირს ან სხვა პარტნიორს. თუმცა წესდებით შეიძლება დადგინდეს შეზღუდვები და შეიძლება ამისათვის მოთხოვნილ იქნეს დანარჩენი პარტნიორების თანხმობა, ვინაიდან ინდივიდუალურად პარტნიორის მიერ ახალი პარტნიორის შპს-ის შემადგენლობაში შემოყვანა პარტნიორთა არსებული სტრუქტურის შენარჩუნების პრინციპს ეწინააღმდეგება.

გარიგება წილის გასხვისების შესახებ, რომელიც დაიდო მანამ, სანამ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პარტნიორს უარი არ უთქვამს ამ უფლებით სარგებლობაზე ან ამ უფლების გამოყენების ვადა არ ამოწურულა, მერყევად ბათილი გარიგებაა. პარტნიორის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ განცხადების წარდგენით, ასეთი გარიგება ბათილი ხდება. თუ პარტნიორი დადგენილ ვადაში არ განაცხადებს უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების სურვილს, გარიგება აღარ არის მერყევად ბათილი და არ არსებობს შეცვლების საფუძველი (სუსგ, 2002 წლის 21 მაისი, საქმე №3კ/530-02).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონით დაშვებულია უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვა ან გამორიცხვა წესდებით (137-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) ან კონკრეტულ შემთხვევაში კენჭისყრაში მონაწილე პარტნიორთა $\frac{3}{4}$ -ის გადაწყვეტილებით (137-ე მუხლის მე-6 პუნქტი). მიუხედავად იმისა, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება დეკლარაციული ხასიათისაა, მისი გაუქმება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების მიზანს, რომლის მისაღწევად აღნიშნული ღონისძიება უნდა იყოს მიზანშეწონილი, საჭირო და პროპორციული (ბურდული, ტ. 2, 2010,

გვ. 254). ამიტომაც, სავალდებულოა დირექტორის მიერ მომზადებული წერილობითი დასაბუთება, სადაც ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს ამ უფლების შეზღუდვის ან გაუქმების საჭიროება.

შპს-ის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება, ნაწილობრივ ჩამორთმევა ან გარკვეული ვადით შეზღუდვა. ამგვარი გადაწყვეტილების მიზანი უნდა იყოს შპს-ის საუკეთესო ინტერესების დაცვა, როგორც ამ მიზნის შესაბამისი, პროპორციული და გონივრული ღონისძიება (მაგალითად, ინვესტიციების მოზიდვა ახალი გამოშვებული წილის განთავსებით). კანონით უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება დასაშვებია წესდების ან პარტნიორთა კრების კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, დაუშვებელია უპირატესი შესყიდვის უფლების ფაქტობრივი გაუქმება, რომელშიც იგულისხმება პარტნიორებისათვის წილების შეთავაზება იმგვარი პირობებით, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს უფლების გამოყენების შეუძლებლობა ან არაპირდაპირი შეზღუდვა (მაგალითად, არაობიექტურად მაღალი ფასით შეთავაზება, არაგონივრულად მინიმალური ვადის განსაზღვრა) (ბურდული და სხვ., 2023, გვ. 446).

ევროდირექტივის თანახმად, თუ კაპიტალის გაზრდა ხდება ფულადი შენატანით, პარტნიორებს ენიჭებათ უპირატესი შესყიდვის უფლება საკუთარი წილის პროპორციულად (Directive 2017/1132, art. 72(1)), რომლის გამოყენების ვადა 14 დღეა (Directive 2017/1132, art. 72(3)). ნატურით შენატანის შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნატურით შენატანით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაშიც შემოიღონ იგივე წესები (Siemens AG v Henry Nold, Case C-280/95, [1996] ECR I-4929; ბაქაქური და სხვ., 2019, გვ. 192). დირექტივა კრძალავს უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვას ან გაუქმებას სადამფუძნებლო დოკუმენტაციით (Directive 2017/1132, art. 72(4)). გამოწვევის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ საერთო კრების მინიმუმ ორი მესამედის მხარდაჭერით და დირექტორის მიერ მომზადებული დასაბუთების საფუძველზე, სადაც განმარტებული იქნება გამორიცხვის მიზანშეწონილობა და შეთავაზებული გამოშვების ფასის შესაბამისობა (Directive 2017/1132, art. 72(4)).

გერმანიაში კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლების იმპერატიული პრინციპი. ახალი წილების შეძენაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ როგორც მოქმედმა, ასევე ახალმა პარტნიორებმა. თუ ამჟამინდელი პარტნიორები არ იყენებენ ამ უფლებას, მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორცია მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ GmbHG პირდაპირ არ არეგულირებს ამ საკითხს, თითოეულ პარტნიორს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს კაპიტალის გაზრდაში და შეინარჩუნოს თავისი წილი(შეფერი, 2019, გვ. 436).

სს-ის შემთხვევაში, უპირატესი შესყიდვის უფლება (Bezugsrecht) პირდაპირაა გათვალისწინებული (AktG §186), ხოლო შპს-ს შემთხვევაში, GmbHG-ში ეს საკითხი პირდაპირ არაა მოწესრიგებული. თუმცა სასამართლოებმა და დოქტრინამ დიდი ხანია აღიარეს, რომ შპს-ის პარტნიორებს ფაქტობრივი უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ, რაც გამომდინარეობს პარტნიორთა ერთგულების ზოგადი ვალდებულებიდან (Treuepflicht) და სს-ის წესების ანალოგიური გამოყენებიდან (Kuhlen Berlin. (n.d.)).

პარტნიორების უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გამოირიცხოს გამონაკლისის სახით. დომინანტური მოსაზრების თანახმად, ამისთვის უნდა დაკმაყოფილდეს გარკვეული წინაპირობები, რომლებიც განსაზღვრულია ასევე AktG §186-ში. უპირატესი შესყიდვის უფლების ჩამორთმევა (Bezugsrechtsausschluss) მოითხოვს პარტნიორების გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღება წესდების შესაცვლელად საჭირო უმრავლესობით (შეფერი, 2019, გვ. 436). გარდა ამისა, უფლების გამორიცხვა უნდა იყოს ობიექტურად გამართლებული. კერძოდ, შპს-ს უნდა ჰქონდეს გონივრული კომერციული ინტერესებით გამყარებული მიზანი, რომელიც იმ პარტნიორის ინტერესზე მაღლა დგას, ვისაც წილის პროპორციული შენარჩუნების შესაძლებლობა ეზღუდება. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, უნდა არსებობდეს კაპიტალის ზრდის მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი (შეფერი, 2019, გვ. 437).

ნებადართული კაპიტალის არსებობის პირობებში, პარტნიორებს შეუძლიათ განსაზღვრონ, როგორ უნდა მოხდეს ამ შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება (GmbHG §55a). ზოგადად, თუ წესდება ან პარტნიორთა შემდგომი გადაწყვეტილება არ აწესებს სხვაგვარ წესს, ნებადართული კაპიტალიდან წილების გამოშვებისას, პარტნიორებისთვის

წილების შეთავაზება უნდა მოხდეს კვლავ პროპორციულად. რაც შეეხება ამ უფლების გამორიცხვას ნებადართული კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, სააქციო კანონმდებლობაში ნათლად არის მითითებული ობიექტური გამართლების აუცილებლობა (AktG §186(4)(2)), რაც შპს-თვისაც ასევე მნიშვნელოვანია. ამ მოთხოვნის იგნორირება კი მიუღებელია, როგორც ეს დაადასტურა გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ნებადართული კაპიტალის კონტექსტში (შეფერი, 2019, გვ. 438).

გაერთიანებულ სამეფოში წილების გამოყოფისას მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება, რომლის თანახმად, კომპანიას ეკრძალება წილების გამოყოფა ნებისმიერ პირზე მანამ, სანამ არ შესთავაზებს თითოეულ ჩვეულებრივი წილის მფლობელს იგივე ან უკეთესი პირობებით იმ რაოდენობის წილის შეძენას, რაც შეესაბამება მის წილს საერთო კაპიტალში (Companies Act 2006, s. 561). პარტნიორებს ენიჭებათ გონივრული ვადა შეთავაზებაზე რეაგირებისთვის, ან კომპანიის მხრიდან წერილობითი თანხმობის/უარის მიღების ვადა უნდა ამოიწუროს (Bourne, 2019, p. 57). კომპანია ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი კომუნიკაცია პარტნიორებთან (Companies Act 2006, s. 562). კომპანიის მხრიდან ამ ვალდებულების დარღვევა იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იმ პირთან, ვისთანაც შეთავაზება უნდა გაკეთებულიყო (Companies Act 2006, s. 563).

კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტით დადგენილია რამდენიმე გამონაკლისი, როდესაც უპირატესი შესყიდვის უფლება არ ვრცელდება: ბონუს წილების გამოყოფა (Companies Act 2006, s. 564), წილების გაცემა სრულად ან ნაწილობრივ არაფულადი შენატანის სახაცვლოდ (Companies Act 2006, s. 565), თანამშრომელთა წილთა სქემის ფარგლებში გამოყოფილი წილები (Companies Act 2006, s. 566). გარდა ამისა, კერძო კომპანიებს, რომლებსაც მხოლოდ ერთი კლასის წილი აქვთ, შეუძლიათ წესდებით უპირატესი შესყიდვის უფლების სრული ან ნაწილობრივი გამორიცხვა როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ შემთხვევებში (Companies Act 2006, s. 569). კომპანიას ასევე შეუძლია სპეციალური გადაწყვეტილებით დირექტორებს მიანიჭოს უფლება, განახორციელონ წილების გამოშვება ისე, რომ ამაზე არ გავრცელდეს უპირატესი შესყიდვის წესი ან გავრცელდეს მოდიფიცირებულ ფორმაში (Companies Act

2006, s. 570-571). დაბოლოს, უპირატესი შესყიდვის უფლება არ ვრცელდება სარეზერვო წილების (treasury shares) გაყიდვაზე (Companies Act 2006, s. 573).

ამდენად, საქართველოს რეგულაცია გერმანიის მიდგომას ემთხვევა: ორივე იცავს პარტნიორების ინტერესს, შეინარჩუნონ უფლებამოსილების იგივე ხარისხი ახლად გამოშვებული წილების უპირატესი შესყიდვის უფლებით. განსხვავება გერმანულ და ქართულ მიდგომას შორის ისაა, რომ ქართულ კანონში უპირატესი შესყიდვის უფლება პირდაპირ არის გაწერილი, ხოლო გერმანიაში ეს უფლება გამომდინარეობს დოქტრინიდან და პრაქტიკიდან. ამასთან, უპირატესი შესყიდვის უფლების გამორიცხვა გერმანიაში ობიექტურად გამართლებული უნდა იყოს, მაშინ როცა საქართველოში უნდა არსებობდეს გონივრული საფუძველი.

6.2. შპს-ის საკუთარი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის თავდაპირველი რედაქციის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აკრძალული იყო შპს-ის მიერ საკუთარი წილის შეძენა. აკრძალვა ნიშნავდა იმას, რომ შპს-ს არ შეეძლო თავისი პარტნიორებისაგან წილის შეძენა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ის, რომ შპს არ გამხდარიყო თავისი თავის პარტნიორი (ჭანტურია და ნინიძე, 2002, გვ. 277-278). თუ შპს-ს მიერ მისი პარტნიორისაგან წილის შეძენა მაინც მოხდებოდა, მოცემული გარიგება ბათილი იქნებოდა და მხარეებს უნდა დაბრუნებოდათ გარიგებით მიღებული, რის შედეგადაც გამსხვისებელი კვლავ დარჩებოდა წილის მესაკუთრედ, ხოლო გარიგებით წილის სანაცვლოდ პარტნიორისათვის გადაცემული თანხა შპს-ს დაუბრუნდებოდა (ჭანტურია და ნინიძე, 2002, გვ. 278). კანონში 2008 წლის 13 მარტის №5913 კანონით ცვლილების განხორციელების შემდეგ მითითებული აკრძალვა გაუქმდა, მაგრამ არც საკუთარ კაპიტალში წილის შპს-ის მიერ შეძენის დაშვება განხორციელებულა. შესაბამისად, პრაქტიკაში 2021 წლის რეფორმამდე შპს-ის მიერ არ ხორციელდებოდა არც საკუთარი წილის შეძენა და არც სამეწარმეო რეესტრში ხდებოდა შპს-ის საკუთრებად საკუთარი წილის რეგისტრაცია.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2021 წლის რედაქციის გათვალისწინებულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც შპს-ის საკუთრებად რეგისტრირდება საკუთარი წილი. შესაბამის შემთხვევებში შპს-ის საკუთარი წილების შემდგომი ბედი კანონისმიერად გადაწყვეტილია შემდეგი სახით:

- შპს-ის რეორგანიზაციისას, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შპს-ის პარტნიორების მოთხოვნის შესაბამისად, შპს ვალდებულია გამოსყიდოს წილები სამართლიან ფასად. ამასთან, შპს უფლებამოსილია გამოსყიდული წილები გააუქმოს ან გაყიდოს უპირატესი შესყიდვის უფლებით;
- შპს-ის პარტნიორთა კრებას, 126-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეუძლია მიიღოს საკუთარ კაპიტალში წილის შეძენის გადაწყვეტილება. 142-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შესაძლებელია წესდებით განისაზღვროს ამ წილის გაუქმება;
- შპს-ის მიერ კანონის ან წესდების პირობების დარღვევით საკუთარ კაპიტალში შეძენილი წილი, 142-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გაყიდვას ან გაუქმებას ექვემდებარება;
- შპს-ის პარტნიორის შპს-დან გასვლისას, 144-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მისი წილი შპს-ს გადაეცემა, უქმდება ან დარჩენილ პარტნიორებზე პროპორციულად გადანაწილდება;
- შპს-ის პარტნიორის გარიცხვისას, 143-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მისი წილი შპს-ს გადაეცემა. შპს-ის წესდებით შესაძლებელია დადგინდეს ამ წილის გაუქმება ან პარტნიორებზე პროპორციულად გადანაწილება;
- შპს-ის პარტნიორისათვის წილის ჩამორთმევისას, 139-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ის წილს კარგავს შპს-ის სასარგებლოდ.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონით, როგორც ვხედავთ, განსხვავებულად არის ან საერთოდ არ არის გადაწყვეტილი შპს-ის საკუთრებაში ამა თუ იმ საფუძვლით გადასული წილის ბედი. ამასთან, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაშია მითითებული საკითხის წესდებით გადაწყვეტაზე. თუმცა მოცემული არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ მითითებულ

შემთხვევაში არ შეიძლება წესდებით შპს-ის საკუთარი წილების განკარგვის მოწესრიგება. შპს-ის წესდებაში, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიძლება ასახულ იქნეს პარტნიორთა შორის შეთანხმებული შეზღუდვა წილზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით. ამასთან, კანონის 124-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შპს-ის პარტნიორთა საერთო კრება უფლებამოსილია კრების მონაწილეთა ხმების $\frac{3}{4}$ -ის უმრავლესობით გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე.

აშშ-ში შპს-ის მიერ შეძენილი წილების სტატუსთან დაკავშირებით არსებობს სამი შესაძლებლობა: (1) წილების მთლიანად გაუქმება (განთავსებული და ნებადართული კაპიტალი შესაბამისად მცირდება შეძენილი წილების ოდენობით); (2) წილებისათვის ნებადართული, მაგრამ ჯერ არ განთავსებული სტატუსის დაბრუნება; (3) წილების დატოვება გამოშვებულ წილებად და გასხვისება. (Cassim, 2003, pp. 137-152, 152). დელავერის კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის მიერ შეძენილი წილი უნდა გაუქმდეს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წესდებით (DLLCA, § 18-702(e)).

საქართველოში შპს-ის საკუთრებაში არსებული წილების შემდგომ გამოყენებას შპს-ის წესდება უნდა აწესრიგებდეს. პირველ რიგში, შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მათი გაუქმების შესახებ. თუმცა შპს-ის საკუთრებაში არსებული წილების გაუქმება, საერთოდ, სავალდებულოა, თუ მათი შეძენა კანონდარღვევით მოხდა და მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში ვერ განთავსდა (გიგუაშვილი და ჯუღელი, 2022, გვ. 223). თუ წილი არ უქმდება, პარტნიორებს წესდებით განსაზღვრული პირობების (მაგალითად, პარტნიორებს შორის წილების თანაბრად განაწილება) გათვალისწინებით შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი წილის პარტნიორებს შორის პროპორციულად ან სპეციალური წესით გადანაწილების თაობაზე. თუ წილი არ უქმდება, პარტნიორებს ასევე წესდებით განსაზღვრული პირობების (მაგალითად, საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა) გათვალისწინებით შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი წილის გაყიდვის თაობაზე, მათ შორის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებით. ნებისმიერ შემთხვევაში, წესდებით უნდა დადგინდეს თითოეული

მითითებული მექანიზმის პირობები და გამოყენების წესები. ამასთან, პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უძღოდეს დირექტორის ანგარიში (დასაბუთება) მისაღები გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის შესახებ, რომელიც თავის მხრივ კომპანიაში ინვესტიციის მოზიდვის საჭიროების ან საბალანსო (საფინანსო მდგომარეობის) და გადახდისუნარიანობის ტესტებს დაეფუძნება.

7. დასკვნა

კვლევის ფარგლებში, ერთი მხრივ, კანონისმიერად განმტკიცებული წილის გარკვეული მინიმალური შეზღუდვებით შპს-ის წილის მიმოქცევის თავისუფლებისა და, მეორე მხრივ, კანონის დისპოზიციური ნორმების გამოყენებით წესდებისმიერად წილზე საკუთრებისა და მემკვიდრეობის ფუნდამენტური უფლებების დაცვით შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულ იქნა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. შპს-ის პარტნიორობა არის მონაწილეობა მრავალმხრივ გარიგებაში, რომელიც დადებულია ხანგრძლივი პერსპექტივით და რომლითაც შპს-ის პარტნიორს კანონისმიერ და წესდებისმიერ უფლება-მოვალეობათა ფართო სპექტრი წარმოეშობა. შპს-ის წევრობა ნიშნავს, რომ პარტნიორი თავისი ნებით შედის კორპორაციულ ურთიერთობებში და, შესაბამისად, მასზე კორპორაციულ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები მისივე ნებით ვრცელდება. ამ ურთიერთობებში პარტნიორის შესვლა თავისთავად გულისხმობს, რომ პარტნიორს ასევე ნებაყოფლობით აქვს მიღებული და გაცნობიერებული შესაბამისი სახელშეკრულებო პირობები. მოცემული დასკვნა სრულად ვრცელდება შპს-ის მიერ საკუთარი წილის განკარგვაზე, პარტნიორის მიერ წილის გასხვისებაზე და წილის სხვაგვარად გადასვლაზე დაწესებულ შეზღუდვებზე.

2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონით შპს-ის წილის მიმოქცევის შეზღუდვა მოწესრიგებულია იმპერატიული და დისპოზიციური ნორმებით. ამასთან, იმპერატიული ნორმების გათვალისწინებით, შეზღუდვების ფორმები, წინაპირობები და მათი გამოყენების პროცედურები დიდწილად წესრიგდება წესდებით, რითაც შეზღუდვები უფრო მოქნილი ხდება შპს-ის პარტნიორთა სურვილებთან და პარტნიორული

სტრუქტურის სტაბილურობის მოთხოვნასთან. შპს-ის წილის მიმოქცევაზე კანონით ან შპს-ის წესდებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში დაწესებულია შესაბამისი შეზღუდვები. კანონი პირდაპირ მიუთითებს წესდებით წილზე საკუთრების უფლებაზე შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობაზე. ამასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შპს-ის სადამფუძნებლო შეთანხმება/წესდება უნდა შეიცავდეს სპეციალურ შემზღუდველ პირობას შპს-ის წილების გასხვისებაზე. კანონით გათვალისწინებული არ არის უკვე არსებული წილების განკარგვისას პარტნიორთა უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც შესაძლებელია დადგინდეს წესდებით, მაგრამ გათვალისწინებულია ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც შეიძლება გაუქმდეს წესდებით.

3. საქართველოს შპს-ების პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე, წესდებით შპს-ის წილის განკარგვა/შეძენა მიზანშეწონილია შეიზღუდოს ორი ფორმით - წილის გასხვისებაზე თანხმობის აუცილებლობით (შპს-ის ნებართვა) და წილის უპირატესი შესყიდვის უფლებით. წესდებით შესაძლებელია დადგინდეს, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია პარტნიორს მიეცეს კონკრეტულ პირზე წილის გასხვისების ნებართვა ან ზოგადად ნებისმიერ პირზე წილის გასხვისების ნებართვა. საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია წილის გამსხვისებელ პარტნიორს დაეკისროს წილის გასხვისება სხვა პარტნიორთა უპირატესი შესყიდვის უფლების უზრუნველყოფით. ამასთან, წესდებით არ უნდა გაუქმდეს ახალი წილების უპირატესი შესყიდვის უფლება. კერძოდ, შპს ვალდებული უნდა იყოს, მესამე პირებზე ახალი წილების განთავსებამდე, შპს-ის ყველა პარტნიორს შესთავაზოს ახალი წილები მესამე პირებისთვის განსაზღვრულ ფასად და პირობებით.

4. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შპს-ის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება (მათ შორის წესდების ფარგლებში) წილის გასხვისების საერთოდ აკრძალვის შესახებ. მართალია, აკრძალვის შესაძლებლობა დაბალანსებულია იმით, რომ ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ერთხმად, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ წინასწარ ყოველთვის შეუძლებელია სამომავლო მოვლენების დადგომის განჭვრეტა და საქმე კი გვაქვს წილზე საკუთრების უფლებასთან, მიზანშეწონილია წილის გასხვისების

აკრძალვის მექანიზმი არ იქნეს შემოღებული წესდებითაც. ამ მექანიზმის არარსებობის გარეშეც წილის განკარგვის შეზღუდვა და პარტნიორთა სურვილის გათვალისწინება შესაძლებელია წილის გასხვისებაზე თანხმობისა და უპირატესი შესყიდვის უფლების, ასევე წილის გამოსყიდვისა და პარტნიორის გასვლის უფლების მექანიზმებით.

5. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს წილის მემკვიდრეობით გადასვლის რეგისტრაცია. მემკვიდრეობით შპს-ის წილის მიღებისას მემკვიდრეების მიერ პარტნიორის სტატუსის მიღების საკითხი უნდა მოწესრიგდეს წესდებით. კერძოდ, მიზანშეწონილია დადგინდეს, რომ სამკვიდრო მოწმობის გაცემის შემდეგ მემკვიდრეთა პარტნიორად რეგისტრაციის საკითხი განიხილება შპს-ის საერთო კრებაზე, სადაც შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება როგორც მემკვიდრეთა პარტნიორად რეგისტრაციის, ისე მემკვიდრეთაგან სამკვიდრო წილის გამოსყიდვის თაობაზე. ამ შემთხვევაში, წესდებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ შპს-ის მიერ მოხდება მემკვიდრეთათვის სამკვიდრო წილის სამართლიანი ფასის გადახდა.

6. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს ნორმა, რომლის თანახმად, წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ მეუღლეთა განქორწინების შემდეგ, თუ მეუღლეები არ შეთანხმდებიან ქორწინების განმავლობაში შეძენილი შპს-ის წილის რეგისტრირებული პარტნიორის საკუთრებაში დატოვებაზე, პარტნიორად არარეგისტრირებული მეუღლის პარტნიორად რეგისტრაციის საკითხი განიხილება საერთო კრებაზე. შესაბამისად, პარტნიორთა კრებაზე შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება არარეგისტრირებული მეუღლის პარტნიორად რეგისტრაციის თაობაზე (მისი სურვილის შემთხვევაში) ან არარეგისტრირებული მეუღლის კუთვნილი წილის შპს-ის მიერ გამოსყიდვის თაობაზე. ამასთან, მიზანშეწონილია წესდებით გათვალისწინებულ იქნეს, რომ არარეგისტრირებულ მეუღლეზე შპს-ის მიერ გაიცემა მისი კუთვნილი წილის სამართლიანი ფასი.

7. შპს-ის მიერ გამოსყიდული წილის, შპს-დან გასული ან გარიცხული პარტნიორის წილის ან პარტნიორისათვის ჩამორთმეული წილის შემდგომი ბედის გადაწყვეტა ხორციელდება პარტნიორთა გადაწყვეტილებით წესდების ან სადამფუძნებლო შეთანხმების საფუძველზე.

კერძოდ, შეიძლება მოხდეს შპს-ის საკუთრებაში გადასული წილის დარჩენილ პარტნიორებს შორის პროპორციული განაწილება, საბაზრო წესით გასხვისება, პარტნიორებისათვის უპირატესი შესყიდვის უფლების მინიჭება ან საერთოდ გაუქმება. წესდებით უნდა დადგინდეს თითოეული მითითებული მექანიზმის პირობები და გამოყენების წესები. ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უძღოდეს კომპანიაში ინვესტიციის მოზიდვის საჭიროების ან საფინანსო მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის ტესტების საფუძველზე შედგენილი დირექტორის ანგარიში მისაღები გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის შესახებ.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია. (1995). *საქართველოს კონსტიტუცია*.
2. საქართველოს პარლამენტი. (1997). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*.
3. საქართველოს პარლამენტი. (1994). „*მეწარმეთა შესახებ*“ *საქართველოს კანონი*.
4. საქართველოს პარლამენტი. (2021). „*მეწარმეთა შესახებ*“ *საქართველოს კანონი*.
5. Directive 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law.
6. *Aktiengesetz* (AktG).
7. *Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung* (GmbHG).
8. *Companies Act* 2006 (UK).
9. *Family Law (Scotland) Act* 1985.
10. *Matrimonial Causes Act* 1973.
11. *Model Business Corporation Act* (MBCA).
12. *Revised Uniform Limited Liability Company Act* (RULLCA).
13. *Texas Family Code*.

ლიტერატურა

14. ბაქაძე, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ., და ჯუღელი, გ. (2019). *საკორპორაციო სამართალი: სახელმძღვანელო იურისტებისთვის*. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).
15. ბურდული, ი. (2010). *სააქციო სამართლის საფუძვლები* (ტ. 1–2). თბილისი: მერიდიანი.
16. ბურდული, ი., მახაროზიშვილი, გ., და მაღრაძე, გ. (2019). *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი*. თბილისი: იურისტების სამყარო.

17. ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ., თოხაძე, ა., ზუბიტაშვილი, ნ., ალადაშვილი, გ., მალრაძე, გ., და ეგნატაშვილი, დ. (2023). *საკორპორაციო სამართალი* (მე-3 გამოცემა). თბილისი: მერიდიანი.
18. გვათუა, ე. (2018). *პარტნიორის ძირითადი ქონებრივი უფლებები კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში* (სამაგისტრო ნაშრომი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
19. კალანდაძე, თ. (2011). მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები. *მართლმსაჯულება და კანონი*, 29(2), 103–118.
20. კრაკმანი, და სხვ. (2019). *საკორპორაციო სამართლის ანატომია*. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).
21. ლილუაშვილი, გ. (2005). *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: ჯისიაი.
22. მაისურაძე, გ., ლაზიშვილი, მ., შაკიაშვილი, გ., იამანიძე, გ., და კოდუა, მ. (2019). *ინვესტიციის დაცვის მექანიზმების ევოლუცია და პრობლემური ასპექტები საქართველოში* (შ. პაპუაშვილის რედ.). თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).
23. მიგრიაული, რ. (2021). *სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო*. თბილისი: სეზანი.
24. მჭედლიშვილი, გ. (2009). საკუთრების უფლება და მისი შეზღუდვის ფარგლები საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. *მართლმსაჯულება და კანონი*, 23(4), 106–110.
25. ფიფია, ე. (2021). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ცნების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი. *სამართლის მაცნე*, 7(3), 57–58.
26. ქოქრაშვილი, ქ. (2019). *სამეწარმეო სამართალი*. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.
27. შეფერი, კ. (2019). *სამართლის საწყისები: საზოგადოებათა სამართალი* (რ. მიგრიაულის თარგმ.; მე-5 გამოც.). თბილისი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. (ორიგინალი ნაშრომი გამოიცა 2018 წელს).

28. ჭანტურია, ლ., და ნინიძე, თ. (2002). *მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი*. თბილისი: სამართალი.
29. ჯუღელი, გ. (2010). *კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში*. თბილისი: სიესტა.
30. ცერცვაძე, ლ. (2016). *დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას*. თბილისი: იურისტების სამყარო.
31. Bainbridge, S. M. (2023). *Limited Liability Companies: A State-by-State Guide to Law and Practice*/(2023 ed.). New York: Wolters Kluwer.
32. Bourne, N. (2019). *Bourne on company law* (6th ed.). Routledge.
33. Cox, J. D. & Hazen, T. L. (2020). *Business Organizations Law*. St. Paul, MN: West Academic Publishing.
34. Davies, P. L., & Worthington, S. (2016). *Gower's principles of modern company law* (10th ed.). Sweet & Maxwell.
35. Dignam, A., & Lowry, J. (2018). *Company law* (10th ed.). Oxford University Press.
36. Cassim, F. (2003). The repurchase by a company of its own shares: The concept of treasury shares. *The South African Law Journal*, 120(1), 137–152.
37. Kiseliyov, A. I., Metreveli, B., Behrens, P., Schanze, E., Basin, Y., Suleymenov, M. K., Kazenov, A., Gutnichenko, L. V., Beyshenliyeva, N., Matisaev, A., Peremienko, V. I., Chinbat, N., Shinebaatar, B., Simons, W. B., Gorbounov, M. V., & Ivannikova, N. (1999). General principles of company law for transition economies. *Journal of Corporation Law*, 24(2), 196–246.
38. Kuhlen Berlin. (n.d.). *Capital increase (GmbH Kapitalerhöhung)*. Retrieved November 5, 2025, from <https://www.kuhlen-berlin.de/en/glossary/capital-increase-gmbh-kapitalerhoehung>
39. Rosengarten, J., Burmeister, F. and Klein, M. (2020). *The German Limited Liability Company* (9th ed.). Munich: C.H. Beck.
40. Pachman, S. L. (2020, January 8). *Death of an LLC member: Part II. Business Law Today*. American Bar

Association. https://www.americanbar.org/groups/business_law/publications/blt/2020/01/death-of-an-llc-member/

სასამართლო პრაქტიკა

41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. (2007, 18 მაისი). *გადაწყვეტილება* № 2/1-370, 382, 390, 402, 405.
42. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2002, 21 მაისი). *გადაწყვეტილება* № 33/530-02.
43. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2012, 28 ივლისი). *განჩინება* № ას-97-93-2012.
44. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2017, 17 თებერვალი). *განჩინება* № ას-605-579-2016.
45. საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2025, 25 მარტი). *განჩინება* № ას-1506-2024.
46. Court of Justice of the European Union. (1996, November 19). *Siemens AG v Henry Nold*, Case C-280/95, [1996] ECR I-4929.
47. European Court of Human Rights. (1983, December 12). *Bramelid and Malmström v. Sweden*, Applications Nos. 8588/79 and 8589/7.
48. *Hurst v Crampton Bros (Coopers) Ltd* [2003] 1 B.C.L.C. 304.
49. *In re Brace*, 470 P.3d 15 (Cal. 2020).
50. *Lyle & Scott Ltd v Scott's Trustees* [1959] A.C. 763 (HL).
51. *Ott v. Monroe*, 2011 WL 5325470 (Va. 2011)
52. *Re Claygreen* [2006] 1 B.C.L.C. 715.
53. *Succession of McCalmont*, 261 So.3d 903 (La. App. 2018).
54. *Theakston v London Trust Plc* [1984] B.C.L.C. 390.